ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 16 აპრილი, 2021 №65 (8594) ფასი: 60 თეთრი

დათუნა სარალიძის მკვლელობისთვის გიორგი მენაბდე დააკავეს

გვ.5

გვ.5

ვახო სანაიაზე თავდასხმისთვის დაკავებული 3 პირი პატიმრობაში დატოვეს

„გიორგი გახარია ხმებს „ქართულ ოცნებას“ წაართმევს“

გვ.4

გიგა ბუკია: „20 ივნისის შემდეგ გახარია „ქართულმა ოცნებამ“ დაბანა და დავარცხნაო – ამის თქმა პოლიტიკოსის მაღალ ინტელექტზე არ მეტყველებს“

„გახარიას გუნდი პუტინის ერთ-ერთი ფრთაა“

გვ.3

გიორგი ბარამიძე: „ოცნება“ რეპრესიებზე გადავიდა და დაშინების პოლიტიკას ატარებს“

„ოცნება“ ვადამდელ არჩევნებსა და პოლიტპატიმრებს არ დათმობს“

რამაზ საყვარელიძე: „ადგილობრივ არჩევნებზე გახარიას ნამდვილად არ ექნება პრობლემა და, თუკი საგრძნობ წარმატებას მიაღწევს, ეს საპარლამენტო არჩევნებისთვის უკვე დიდი ავანსი იქნება“

გვ.3

ელისო ბოლქვაძე: „ნინუცა მაყაშვილი სად იყო 10 წელი? ამაზე საქმე უნდა აღიძრას“

გვ.2

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ოცნების“ ამომრჩეველი აღარ არსებობს“

სალომე ზურაბიშვილი: „სკოლებში მეგრული და სვანური ენები უნდა ისწავლებოდეს“

გვ.2

ISSN 1987-9385

2 არჩილ თალაკვაძე: „მხოლოდ პირადი რეიტინგი არ არის პოლიტიკაში გადამწყვეტი“

5 ნიკა ბასილაშვილის ახალი სკანდალი
მას კიდევ ერთი პირი უჩივის

5 შსს-მ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით 6 პირი დააკავა

6 ჯო ბაიდენმა რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა

მამუკა გამყრელიძე: „ოცნების“ ამომრჩეველი აღარ არსებობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე? „ევროპული საქართველოდან“ ლიდერები წამოვიდნენ. რა პროცესები მიმდინარეობს ოპოზიციურ ფლანგზე და რამდენად ხდება ძველი ოპოზიციის ჩანაცვლება ახლით?

– მოდით, შევთანხმდეთ, რომ ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ჩანაცვლება ახსენეთ და არავის ჩანაცვლება არ ხდება. რაღაცა დუღილის პროცესია, როდესაც ხდება შესაკრებთა გადანაცვლება. საბოლოო ჯამში, ამით ჯამი არ იცვლება. პოლიტიკურ ველზე, პრინციპში, სულ ერთი და იგივე ხალხია. „ევროპული საქართველოდან“ გადავლენ ნაციონალურ მოძრაობაში თუ „გირჩში“, რეალურად ამით დიდი ცვლილება არ მოხდება.

– ფიქრობთ, რომ „ევროპული საქართველოდან“ წამოსულები სახლში არ წასულან და, უბრალოდ, პარტიას შეიცვლიან?

– რა თქმა უნდა, აქტორები არ იცვლებიან, იცვლება მხოლოდ პარტიებისა და ორგანიზაციების სახელები, მეტი არაფერი.

– გახარიას განაცხადზე რას იტყვით?

– ჩემი შეფასება ასეთია; ის, რომ განაცხადი გააკეთეს, ძალიან მნიშვნელოვანი, სწორი და დროული იყო. ძალიან კარგი იყო ის, რომ გადასხდნენ ოპოზიციის მხარეს, ამით დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია. პარლამენტშივე გადასხდნენ ოპოზიციის სკამებზე უმრავლესობიდან. მაგრამ...

– მაგრამ რა?

– ის, რომ ძალიან მკვეთრად და ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, 20 ივნისის მოქმედებები იყო აბსოლუტურად კანონიერი და მისაღები და რურუა და მელია პოლიტპატიმრები არ არიანო, რითიც პირდაპირ გაუსვეს ხაზი იმას, რომ...

– რას გაუსვეს? ივანიშვილის პროექტია?

– მე არ ვიცი, არის ივანიშვილის თუ არა, მაგრამ მათ აიკრეს 20 ივნისის პრობლემები. შეეძლოთ, მარტივად დაეხსნათ თავი ამისგან და ეთქვათ, რომ არაფერ შუაში არ იყო გახარია. ამის მაგივრად, პირიქით, მთელი ეს სიმძიმე საკუთარ თავზე აიღეს.

– ამ განცხადებებით მკაფიოდ ხომ არ გაემიჯნნენ არსებულ ოპოზიციას?

– ნახეთ, როგორი რაღაცა მოხდა? გაემიჯნნენ არსებულ ოპოზიციას, გაემიჯნნენ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ გაემიჯნნენ შუაშისტებსაც.

– შუაშისტებს რატომ?

– იმიტომ, რომ შუაშისტების ძირითადი გაღიზიანება 20 ივნისიდან მომდინარეობს. გამოვიდა, რომ 20 ივნისის ერთ-ერთი შემოქმედი შენ ხარ!

– ანუ ცუდად დაიწყო გახარიამ?

– მაინცდამაინც სწორი განცხადება არ იყო. თუმცა ეს ჩემი შეხედულებაა და ყველას თავისი პოლიტიკა აქვს. მე არ ვიცი, როგორი პოლიტიკა აქვს გახარიას მომავალში, როგორ აპირებს მუშაობას და რა სეგმენტზე აპირებს თავისი განაცხადის გაკეთებას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ყველა მიმართულებით შემოირეკა ხალხი.

– მაშინ, რის იმედი აქვთ, თუკი თავიდანვე ასეთი წამგებიანი პოზიციით იწყებენ?

– არ ვიცი. მარტო ის კი არ არის, მხარდამჭერებს დაკარგავ თუ შეიძენ, უბრალოდ, დაარტყამენ, თან მძიმედ დაარტყამენ ძალიან. დარტყმები იწყება როგორც „ქართული ოცნებიდან“, ისე ოპოზიციიდან. აი, ნახავთ, როგორი შეტევები დაიწყება. შეძლებენ კი ამ შეტევის მოგერიებას?! თუმცა მათი პირველი განცხადებები უკვე შეცდომა იყო. ზედმეტად შეაფასეს საკუთარი ძალები.

– შეეძლოთ, ისე მოქცეულიყვნენ, რომ არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური?

– ხალხში მუსირებს აზრი, რომ 20 ივნისთან გახარიას არა აქვს არანაირი კავშირი. ამიტომ შეეძლო, აბსოლუტურად ჩამოერეცხა ეს ამბავი. ამით შუაშისტების უდიდეს ნაწილს თავის მხარეს გადაქაჩავდა.

– ახლა რა ხდება?

– ახლა უკვე მისცა საშუალება, ამ საკითხზე პედალირება გააკეთოს ოპოზიციამ.

– აპირებს, „ოცნებას“ გაუყოს ამომრჩეველიო. რამდენად გამოუვა?

– „ოცნების“ ამომრჩეველი, როგორც ასეთი, აღარ არის. შემორჩათ მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსი და ჭკუადაკარგულების მცირე პროცენტი. რეალურად ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე არსებობს დღეს „ოცნება“. დანარჩენი არის იდეოლოგიურად მყარი ოპოზიციის ნაწილი, საიდანაც 90% არის ნაციონალური მოძრაობის, კიდევ – შუაშისტების უზარმაზარი ნაწილი, რომელიც განხიბლულია „ქართული ოცნებით“ და განხიბლულია ნაციონალური მოძრაობითაც. აი, ამ შუაზე უნდა დამჯდარიყო გახარია და, სად წავიდა, საერთოდ ვერ გავიგე.

– უფრო მძაფრდება ეჭვი, რომ გახარია ბიძინა ივანიშვილის პროექტია, რომელიც ცდილობს, „ოცნების“ შიგნიდან ოპოზიციური ძალა აღმოაცენოს. ასევე ძალიან ხელსაყრელი სიტუაციაა, რადგან შიგნით უკვე ჰყავთ ოპოზიციაო. ასეა?

– აქ მხოლოდ იმაზე ხომ არ არის ლაპარაკი, შიგნით ჰყავთ ოპოზიცია თუ არა. „ქართულ ოცნებას“ რაოდენობრივი პრობლემა აქვს.

– რას გულისხმობთ?

– რამდენადაც მე მითხრეს კულუარებში, პარლამენტში გახარიას მომხრე ექვსი კი არა, გაცილებით მეტი დეპუტატია. მას შეუძლია 10-12 დეპუტატის მოზიდვა მთლიანობაში, თუმცა, მეტი რომ წაეყვანა, მაშინ „ოცნებას“ ექმნებოდა კვორუმის პრობლემა. კვორუმის პრობლემა თუ შეგექმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობა დაიშალა და ვადამდელი არჩევნები ავტომატურად უნდა დაინიშნოს.

– არ აწყობს გახარიას ვადამდელი არჩევნები?

– ცხადია, ამ ეტაპზე არ აწყობს. ის არ არის მზად არჩევნებისთვის. ის ახლა ნამდვილად არ შეეცდება, ხელი შეუწყოს „ოცნების“ დაშლას. დღეს თუ ვინმეს აწყობს არჩევნები, პირველ რიგში ესენია ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. მე არ ვფიქრობ, რომ გახარია „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს. სულაც არა. ის საკუთარ თამაშს თამაშობს.

– 20 ივნისი, ახლა ნამახვანჰესიც მას აჰკიდეს. ამბობენ, რომ ეს არის გახარიას შეცდომა. რამდენად გადატყდება ჯოხი მასზე და მის ეკონომიკურ გუნდზე?

– არც ასე მარტივადაა საქმე. მოდით, გახარიას გუნდსაც შევხედოთ. ინტელექტუალური თვალსაზრისით აშკარად გამოირჩევიან „ქართული ოცნებისგან“, რაც ერთგვარ ოპტიმიზმს უსახავს ქართველ ამომრჩეველს. მას შეუძლია, ნორმალური ხალხი შემოიკრიბოს გარშემო, თანაც ისეთი, ფულიც რომ არ აკლიათ. შესაბამისად, არც მის პარტიას დააკლდება ფული.

– იქნება გახარია „ოცნების“ საპირწონე ძალა?

– კი, აუცილებლად იქნება. ის იქნება ძალიან ძლიერი კონკურენტი. გახარია გაცილებით მძიმე პრობლემა იქნება „ოცნებისთვის“, ვიდრე დღევანდელი ოპოზიციაა.

არჩილ თალაკვაძე: „მხოლოდ პირადი რეიტინგი არ არის პოლიტიკაში გადამწყვეტი“

მხოლოდ პირადი რეიტინგი არ არის პოლიტიკაში გადამწყვეტი, არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსები არჩევნებში დიდ შედეგს ვერ იღებენ და პროგრესს ვერ უზრუნველყოფენ და პირიქითაც.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ფეისბუქში წერს.

მისი განცხადებით, მთავარია, ვის რა საქმე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული, ან რისი გაკეთება გინდოდა მთელი გულით და ვერ გააკეთე. თალაკვაძის აზრით, საბოლოო ჯამში, მათ სწორედ ამით შეაფასებს საზოგადოება.

როგორც თალაკვაძე აღნიშნავს, „ქართულ ოცნებას“ პარტიებს შორის ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს, რაც გუნდური შედეგია.

თალაკვაძის თქმით, ვინც მუშაობს და იმ საქმეს აკეთებს, რომლისაც მართლა სჯერა, შეიძლება, რეიტინგიც „დახარჯოს“.

„ევროპული დემოკრატია პარტიების შეჯიბრებაა და ფაქტია, არჩევნებშიც და საზოგადოებრივი აზრის ახალ კვლევებშიც „ქართულ ოცნებას“ პარტიებს შორის დღესაც ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს. ეს გუნდური შედეგია. გარდა ამისა, ვინც მუშაობს და იმ საქმეს აკეთებს რისიც მართლა სჯერა, შეიძლება რეიტინგიც „დახარჯოს“ ამაში – ეს კანონზომიერია. შესაბამისად, მხოლოდ პირადი რეიტინგი არ არის პოლიტიკაში გადამწყვეტი.

არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც „მაღალი რეიტინგის“ მქონე პოლიტიკოსები არჩევნებში დიდ შედეგს ვერ იღებენ, პროგრესს ვერ უზრუნველყოფენ და პირიქითაც. გამარჯვება პირველ რიგში იდეის, შენი ქვეყნისა და გუნდის ერთგულებაზე, სანდოობასა და მოკავშირეებზეა დამოკიდებული.

მთავარია, ვის რა საქმე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული, რა რეფორმები, რა დიდი პროექტები, ან რისი გაკეთება გინდოდა მთელი გულით და ვერ გააკეთე. საბოლოო ჯამში, ამით შეგვაფასებს ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ქვეყანა. წინ გავიხედოთ და მომავალზე ვესაუბროთ ჩვენს ხალხს. ვინც მომავალს ხედავს, ის მშვიდ და წარმატებულ გადაწყვეტილებებს იღებს.

იმედი მაქვს, ყველა პროგრესული პოლიტიკური ძალა გამოიჩენს უნარს, დავინახოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი და დასავლელ მეგობრებთან ერთად, სწორად გავატაროთ საქართველო იმ გზაზე, რომელიც, რთული გეოპოლიტიკური კონტექსტისა და პანდემიის მიუხედავად, წარმატებული იქნება“, – წერს პარლამენტის თავმჯდომარე.

ირაკლი კობახიძე: „გახარიას პარტია წარმატებული ვერ იქნება“

– ასეთი დასაწყისით წარმატებული ვერავინ იქნება.

ასე აფასებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გიორგი გახარიას მხარდამჭერი 6 დეპუტატის მმართველი გუნდიდან წასვლას.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ქმედება არასწორია და, როდესაც პოლიტიკურ პროცესში ნაბიჯების გადადგმა ასე იწყება, გაგრძელებაც ასეთი იქნება.

– სამწუხაროა, რაც ვნახეთ. ბევრი მიზეზის გამო, ეს არ იყო სწორი ქცევა, რაც ვიხილეთ, მათ შორის იმ მიზეზის გამო, რომ მანამდე არ ყოფილა არანაირი საუბარი და კონსულტაცია ამის შესახებ. როდესაც არასწორად იწყებ პოლიტიკურ პროცესში ნაბიჯების გადადგმას, ბუნებრივია, ეს პროცესი არასწორადაც გაგრძელდება. შესაბამისად, ამ ყველაფერს ჰქონდა არასწორი დასაწყისი და მგონია, რომ გაგრძელებაც ექნება შესაბამისი, – განაცხადა კობახიძემ.

14 აპრილს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა – გიორგი ხოჯევანიშვილმა, ალექსანდრე მოწერელიამ, ბექა ლილუაშვილმა, შალვა კერესელიძემ, მიხეილ დაუშვილმა და ანა ბუჩუკურმა მმართველი პარტია დატოვეს.

ისინი საპარლამენტო საქმიანობას დამოუკიდებელი დეპუტატების სტატუსით განაგრძობენ.

გია ვოლსკი: „კახა კალაძე „ოცნებიდან“ არ წავა“

– არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთ გუნდში კახა კალაძეს, ირაკლი ღარიბაშვილსა და ირაკლი კობახიძეს დისკომფორტი აქვთ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ განუცხადა.

ვოლსკი იმასაც ამბობს, რომ კახა კალაძის გუნდს მყარად „ქართული ოცნების“ რიგებში ხედავს.

– „ქართული ოცნების“ გუნდში ანტაგონიზმი არასდროს ყოფილა. არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთ გუნდში დისკომფორტი აქვთ კახა კალაძეს, ირაკლი ღარიბაშვილსა და ირაკლი კობახიძეს. ასეთი რამ არ არსებობს, ვინ უფროსი და ვინ უმცროსია. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი აბსოლუტურად შეესაბამება სტანდარტს, რომელიც განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, – განაცხადა ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

სალომე ზურაბიშვილი: „სკოლებში მეგრული და სვანური ენები უნდა ისწავლებოდეს“

სალომე ზურაბიშვილი ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ვიდეომიმართვას ავრცელებს და აცხადებს, რომ საჯარო სკოლებში მეგრული და სვანური ენები არჩევით უნდა ისწავლებოდეს.

პრეზიდენტი ამბობს, რომ ქართულის ფუძე ენები, მეგრული და სვანური, „იჩაგრება“, მათ კი, მისი თქმით, დაცვა და პოპულარიზაცია სჭირდება.

– ვჩაგრავთ ჩვენი ენის ფუძე ენებს – მეგრულსა და სვანურს. რატომღაც გვეშინია ქართულის უმდიდრეს ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებაში მათი როლის აღიარება.

მეგრულიც და სვანურიც ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ და ვანიჭებდეთ სწორ ადგილს. ყველა მსურველს უნდა ჰქონდეს სკოლაში ამ ენების არჩევით შესწავლის საშუალება და არ უნდა ვემორჩილებოდეთ ცრუ შიშებს! – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ელისო ბოლქვაძე: „ნინუცა მაყაშვილი სად იყო 10 წელი? ამაზე საქმე უნდა აღიძრას“

კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე მსახიობ ნინუცა მაყაშვილის ბრალდებებს ეხმაურება და ამბობს, რომ მისი განცხადება შესასწავლია.

– ძალადობა ზოგადად დასაგმობია, მაგრამ ეს არის შესასწავლი თემა. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა იყო მართლა. ძალადობა არის ცალსახად დასაგმობი, მაგრამ ეს იყო ძალადობა თუ არა და ვინ როგორ გამოიყენა, ეს არის შესასწავლი თემა, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

ამასთან, ელისო ბოლქვაძე გამოეხმაურა რეჟისორ რობერტ სტურუას განცხადებებსაც, რომელიც ნინუცა მაყაშვილის ბრალდებებს, რომ მასზე მსახიობი ბესო ზანგური ძალადობდა, არ იზიარებს.

– ის არ თვლის, რომ ზანგური მოძალადეა და ამიტომაც უჭერს მხარს თავის მსახიობს. ადამიანი გამოდის და 10 წლის შემდეგ იძახის, ძალადობაო. მაშინ, 10 წელი სად იყო? ეს გასარკვევია და ამისთვის საქმე უნდა იყოს აღძრული. ბატონი რობერტის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ძალადობას მხარს ვერ დავუჭერ, რა თქმა უნდა, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას გუნდი პუტინის ერთ-ერთი ფრთაა“

გიორგი ბარამიძე: „ოცნება“ რეპრესიებზე გადავიდა და დაშინების პოლიტიკას ატარებს“

იაგო ნაცვლიშვილი

აშშ-ში ვიზიტით მყოფმა ირაკლი კობახიძემ რიტორიკა შეარბილა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე კომპრომისზე ალაპარაკდა. კობახიძის თქმით, ამერიკელებისგან მინიშნება იყო, რომ ნაბიჯები მმართველმა პარტიამ უნდა გადადგას. კობახიძე ამბობს, რომ ხელისუფლება კომპრომისისთვის მზადაა ახლაც და მზად იყო აქამდეც.

როგორ უნდა გავიგოთ კობახიძის განცხადება – პოზიციის დათმობად თუ ივანიშვილის მორიგ ტრიუკად? სამოქალაქო აქტივისტების მასობრივი დაჭერები ნიშნავს თუ არა რეპრესიული პოლიტიკის ახალ საფეხურს და მიიჩნევს თუ არა გახარიას გუნდს ოპოზიციად? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე** საუბრობს.

– ირაკლი კობახიძემ აშშ-დან თითქოს დამთმობი განცხადება გააკეთა. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ საყვედური მიიღეს ამერიკისგან და ამიტომ ალაპარაკდნენ დათმობებზე?

– ამერიკა არ არის იმ ტიპის ქვეყანა, რომელიც ბრძანებებს იძლევა. ის არის საქართველოს გულშემატკივარი, მაგრამ, როგორც ორ მეგობარ და პარტნიორ ქვეყანას შორის შესაძლებელია ეს მინიშნებები და საყვედურები, ჩვენ არაერთხელ გვინახავს აქამდეც. მაშინაც მკაფიო გზავნილები იყო, უბრალოდ, ამათ ტვინში არ შედიოდა. რადგანაც ახლა ეს განცხადება გააკეთეს, შესაძლოა, ახლა მაინც დავიდა მათ ტვინამდე.

– კობახიძემ თქვა, რომ კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდებიან ხელისუფლებისგან.

– კი, მაგრამ აქამდეც ასე იყო. ძალიან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდებოდნენ და ამბობდნენ, კი ბატონო, პასუხისმგებლობა აქვთ სხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და თუ გაერთიანებას, მაგრამ, ხელისუფლება როდესაც ხარ, არსებულ სიტუაციაზე შენ ხარ პასუხისმგებელიო. ამის თქმა არაერთხელ მოუხდათ.

– მაშინ რატომ შეცვალა რიტორიკა კობახიძემ და ხომ არ არის ეს იმით განპირობებული, რომ ერთია, როდესაც განცხადებას აკეთებენ და მეორეა, როდესაც უშუალოდ და პირადად გეუბნებიან?

– კიდევ ვიმეორებ, რომ აქამდეც ეუბნებოდნენ უშუალოდ. ჩვენ რასაც ვისმენდით, ეს იყო საჯარო განცხადებები. გამოკვეთილად ესაუბრებოდნენ ხელისუფლებას და, ხომ წარმოგიდგენიათ, დახურულ კარს მიღმა როგორი საუბრები იყო, ანუ ის, რომ ამათ რაღაც ვერ გაიგეს და იმიტომ არ გააკეთეს რაღაცა, არა მგონია, ასე იყოს. ერთ ყურში ატარებდნენ და მეორიდან უშვებდნენ. დარწმუნებული ვარ, ახლაც ძალიან მკაფიოდ უთხრეს სათქმელი და კობახიძე იძულებული გახდა, ეს განცხადება გაეკეთებინა ახლა.

მაგრამ ბევრი ასეთი განცხადება გვინახავს, მათ შორის ივანიშვილის მხრიდან გაკეთებულიც. მაგალითად, პროპორციულ სისტემაზე, ამას და იმას გავაკეთებთო, მაგრამ მერე აღარ აკეთებდნენ და არაერთხელ გადააგდეს ხალხი. ერთია, რა განაცხადა ირაკლი კობახიძემ ამ შეხვედრების შემდეგ და მეორეა – რას გააკეთებენ, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახლა უთხრეს და აქამდე არ უთქვამთ მისთვის. შესაძლოა, ახლა უფრო მკაფიოდ უთხრეს. შესაძლოა, ამან გამოიწვია მისი განცხადება, კომპრომისული ნაბიჯები უნდა გადავდგათო. თუ მიხვდა ამას, ძალიან კარგია და მივესალმები, თუ ახლა მაინც დავიდა ეს მათ ტვინამდე, ოღონდ დაველოდოთ, რა რეალური შედეგი მოჰყვება ამას.

– ანუ თქვენ მაინც შიშობთ, რომ შესაძლოა, ამერიკაში სხვა განცხადებები გააკეთონ და აქ უკვე რადიკალურად შეიცვალოს ვითარება?

– დიახ, რა თქმა უნდა. პირველი ხომ არ არის ასეთი შემთხვევა, თუ აქამდე ჯერ არ გაუკეთებიათ?! ამიტომ ვახსენე პროპორციულ არჩევნებზე დაპირებაც.

– ვნახეთ, რომ არათუ მელია არ გამოუშვეს, არამედ ვხედავთ იმასაც, რომ სამოქალაქო აქტივისტების მიმართ საკმაოდ ხისტი ფორმებია გამოყენებული. ხელისუფლება რეპრესიულ პოლიტიკაზე გადადის?

– კი, ეს ამის მცდელობაა, რომ იქნებ დაშინების პოლიტიკამ გაამართლოს, იმიტომ, რომ ნორმალური და ცივილიზებული გზით სიარულის შემთხვევაში და იმ ვითარებაში, როდესაც დემოკრატიული პრინციპები მოქმედებს და ხალხის აზრი არის გადამწყვეტი, იციან, ხელისუფლება დამარცხებულია. ეს უკვე მოხდა 2020-ის არჩევნებზე. ეს მათ კარგად დაინახეს, ვინაიდან ერთია, ჩვენ რაც ვიცით გაყალბების მასშტაბებთან დაკავშირებით, ხოლო მეორეა – რაც თავად ჩაიდინეს. ისიც ჩვენზე უკეთესად იციან, რომ არჩევნებში დამარცხდნენ. ოპოზიციას 52% დაგვიწერა მაგათმა ჯიბის ცესკომ, თორემ რეალურად რამდენით დამარცხდნენ, მათ უკეთესად იციან და ისიც – რამდენი მოიპარეს. იციან, რომ საზოგადოებას მათი ბედი უკვე განსაზღვრული აქვს.

მათ საკუთარი თავი, ხელისუფლების გარდა, სხვაგან ვერ წარმოუდგენიათ, რადგან ეს არ არის პარტია. ეს ჩვეულებრივი ბანდაა. ამიტომ იციან, რომ თუკი დემოკრატიული პროცესები წარიმართება, მათ ხელისუფლება დაკარგული აქვთ. მათი აზროვნებიდან გამომდინარე, ერთადერთი გზა არის მათ ხელთ არსებული შესაძლებლობების – სუსი, პროკურატურა, პოლიცია, სასამართლო, „შავი სამყარო“... ეს ყველაფერი აამოქმედონ მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ.

– ანუ ძალისმიერი პოლიტიკის ახალ მეთოდებზე გადადიან?

– დიახ, უფრო ამკაცრებენ მეთოდებს, რადგან დაინახეს, რომ რა დოზითაც აქამდე მოქმედებდნენ, იმან არ გაჭრა.

– ერთი მხრივ, ოპოზიციას გეუბნებიან, პარლამენტში შემოდითო და გახარიას გუნდს, რომელმაც „ოცნება“ დატოვა, ეუბნებიან, მანდატებზე უარი თქვით და ხელახლა მიიღეთ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა, რადგან ჩვენით ხართ შემოსულიო. ეს რა რიტორიკაა?

– მაგათ თვითონ გაარკვიონ, ვინ ვისგან არის შემოსული. ყველა რუსეთისგან არის შემოსული. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ „ქოცებში“ ანუ რუსეთის მონობას ვინც სთანხმდება, იმ საზოგადოებაში გახარიას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ამიტომ ერთმანეთში გაარკვიონ. შიდაგარჩევები კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან, როდესაც გემი იძირება და ვიღაცები გარბიან, მერე ერთმანეთსაც ეჭიხუბებიან. ეს პროცესი გაიზრდება. სულ რამდენიმე თვე გავიდა არჩევნებიდან და უკვე რამდენი რამე მოხდა.

– გახარიას გუნდი ხელოვნურად შექმნილი ოპოზიციაა?

– არც უთქვამთ, ოპოზიცია ვართო. თუ დააკვირდით, მათ ტერმინი „ოპოზიცია“ არც უხსენებიათ. თქვენ მოისმინეთ? ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამართლებით იყვნენ დაკავებული პრესკონფერენციაზე და პრესკონფერენციის შემდეგ. არაფერი, პუტინის ერთი და მეორე ფრთაა საქართველოში. სხვა ფრთებიც აქვს პუტინს თადარიგში, მაგრამ ყველანი ერთი და იმავე ცენტრიდან იმართებიან.

გახარიას პარტია არის არა ივანიშვილის, არამედ პუტინის მორიგი პროექტი და ასეც უნდა მოვიხსენიოთ. ეს იძულებითი ნაბიჯია და არა „კარგი ცხოვრებით“ გამოწვეული.

პუტინი ხვდება, რომ მისი პირველი პროექტის ანუ „ოცნების“ ჩაფლავება სახეზეა და ახლა ამ მეორე პროექტის წინ წაწევას ეცდება, მაგრამ არაფერი გამოუვა, რადგან ქართველი საზოგადოება არც ისეთი პრიმიტიულია, რომ ეს ვერ ამოიცნოს და ძირმომპალი და მორალურად და პოლიტიკურად გაკოტრებული „ოცნება“, ბავშვების თვალის დამთხრელი და მისი პრემიერობის დროს ეკონომიკის კიდევ უფრო დამანგრეველი გახარიათი შეცვალოს.

ხალხს მობეზრდა მატყუარა და გადამგდებ მოღალატეთა მმართველობა, ამიტომ მოვლენები ისე განვითარდება, რომ, ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით საზოგადოების და, მეორე მხრივ, დასავლელი მეგობრების ზეწოლის შედეგად რეჟიმი იძულებული იქნება, ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, სადაც პუტინის ორივე პროექტი ჯამურად ისევ დამარცხდება და პროდასავლური ოპოზიციური პარტიები ნაციონალური მოძრაობის დიდი უპირატესობით გაიმარჯვებენ. მთავარია, ბრძოლა არ შევწყვიტოთ, არ გავჩერდეთ, მართალი პოზიციები არ დავთმოთ და გამარჯვება აუცილებლად მოვა.

„ნამახვანეჰესის“ საპროტესტო აქციას რუსეთიდან ჩამოსული ილია ძოწენიძე აფინანსებს“

– რუსეთიდან სპეციალური დავალებით თბილისში მოავლინეს ბიზნესმენი ილია ძოწენიძე, რომელიც ფიზიკურადაც დადის ნამახვანის საწინააღმდეგო აქციაზე, ასევე მას დავალებული აქვს აქციების ფინანსური მხარდაჭერა და რუსეთიდან მართული პოლიტიკოსების ჩართვა აქციებში.

ამის შესახებ სოციალურ ქსელში ანალიტიკოსი ვლადიმერ ბოჟაძე წერს.

მისი თქმით, ამის პირველი მაგალითიც გამოჩნდა – „ქართული მარში“ უკვე ოფიციალურად ჩავიდა გუმათში ჰესის მშენებლობის გასაპროტესტებლად.

„რაც შეეხება ილია ძოწენიძეს, ის რუსეთში ბენზინგასამართ სადგურებს ფლობს, ასევე მისი კომპანია აშენებს გვირაბებსა და გზებს. ძოწენიძე რამდენიმე წლის წინ თავად მედვედევმა დააჯილდოვა ოქროს მედლით წარმატებული ბიზნესსაქმიანობისთვის.

სწორედ ძოწენიძე აფინანსებს საქართველოში მოქმედ ყველა რუსულ პარტიას, მათ შორის ის არის ბურჯანაძის პარტიის დამფინანსებელი და სწორედ მან დაუგეგმა ბურჯანაძეს მოსკოვში პუტინთან შეხვედრა. ის ასევე აფინანსებს რუსეთიდან მართულ „პრიმაკოვის ცენტრს“.

აი, სწორედ ეს ადამიანი მოავლინეს რუსეთიდან იმისათვის, რომ ააგოროს საპროტესტო ტალღა, მოაწყოს არეულობა და ხელი შეუშალოს ჰესის მშენებლობას. ილია ძოწენიძე ახლა სწორედ მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება და პირადად აფინანსებს და ხელმძღვანელობს რუსულ სპეცოპერაციას ნამახვანის წინააღმდეგ“, – წერს ბოჟაძე.

„ოცნება“ ვადამდელ არჩევნებსა და პოლიტპატიმრებს არ დათმობს“

რამაზ საყვარელიძე: „ადგილობრივ არჩევნებზე გახარიას ნამდვილად არ ექნება პრობლემა და, თუკი საგრძნობ წარმატებას მიაღწევს, ეს საპარლამენტო არჩევნებისთვის უკვე დიდი ავანსი იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ირაკლი კობახიძის განცხადება გახარიასთან დაკავშირებით – არასწორი დასაწყისი ჰქონდა და დასასრულიც ასეთი იქნება – რაზე მიანიშნებს, თვითგადარჩენისთვის ხომ არ დაიწყო ზრუნვა?

– პოლიტიკურ ცხოვრებაში თვითგადარჩენისთვის ბრძოლა ბუნებრივი მოვლენაა. როგორც ჩანს, გიორგი გახარიას ფრონტს გაუხსნიან როგორც ყოფილი ოპონენტები, ისე – ყოფილი პარტნიორები. ცალსახაა, რომ ორმხრივი ცეცხლის ქვეშ მოყვება.

ტიპურია, როდესაც ასპარეზზე უნდა გამოჩნდეს მესამე, მას დანარჩენი ორი უტევს. ვნახოთ, როგორი იქნება მისი ორიენტაცია. თუკი ორივე მიმართულებით შეეცდება დისტანცირებას, ე.ი. მას აქვს რეალური მესამე ძალის შექმნის მცდელობა. თუკი რომელიმე მხარისკენ გადაიხრება, მაშინ ის უკვე აღარ იქნება მესამე. ის იქნება ერთ-ერთის დანამატი.

– რამდენად აცნობიერებს „ქართული ოცნება“, რა ხდება მის თავს? ვხედავთ, როგორ ტოვებენ პარტიას დეპუტატები. არის მოსალოდნელი, რომ საპარლამენტო უმრავლესობის პრობლემის წინაშეც აღმოჩნდეს?

– ალბათ უფრო ვერ აცნობიერებს, რადგან პარტია, რომელიც ბევრ რამეს აცნობიერებს, მიხვდებოდა, რომ თუნდაც გახარიას მიმართ გამოთქმული კრიტიკით გახარიას საქმეს აკეთებს.

– როგორ?

– ამ კრიტიკით „ოცნება“ გახარიას პოლიტიკური მიმართულების ფორმირებაში ეხმარება, ეხმარება თუნდაც ამომრჩევლის ფორმირებაში. „ოცნებას“ ეს ყველაფერი კარგად არ აქვს გათვლილი. ცხადია, ეს უფრო გახარიასთვის არის ხელსაყრელი, ვიდრე „ოცნებისთვის“. ამით უფრო ხდება ამომრჩევლის ფორმირება. გახარია უფრო მიიღებს იმ ხმებს, რომლებსაც არც „ოცნება“ მოსწონთ და არც ეს ოპოზიცია.

– როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო უმრავლესობას ემუქრება საფრთხე?

– გახარიას ერთ-ერთმა თანაგუნდელმა კი თქვა, ექვსნი არ ვიქნებით, კიდევ გამოგვყვებიანო „ოცნებიდან“, მაგრამ მეეჭვება, იმდენი გაიყოლონ, რომ „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო უმრავლესობა დაეშალოს, თუმცა გახარიას პარტიას, რომელსაც ჯერ სახელიც კი არ აქვს, პარლამენტში თავისი ჯგუფი რომ ჰყავდეს, ეს უდავოდ არის მის ინტერესში და ამისთვის გახარია ალბათ სერიოზულად იზრუნებს.

– თუმცა უკვე იყო რჩევა ყოფილი გუნდელებისგან მანდატების დატოვებაზე.

– ამ მოთხოვნას არანაირი იურიდიული საფუძველი არ აქვს. ამის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. მორალური საფუძველი – კი ბატონო. მასე შეიძლება ვთქვათ, რომ ნაციონალური მოძრაობის სიით შევიდა „ევროპული საქართველო“ პარლამენტში და მერე გამოეყვნენ, მაგრამ პარლამენტი არავის დაუტოვეია.

– პოლიტიკაში რა ტიპის მოთამაშე იქნება გახარია და საინტერესოა, რომელი არჩევნებისთვის ემზადება ის?

– მისმა ერთ-ერთმა თანაგუნდელმა თქვა, ორივე არჩევნებისთვის ვართ მზადო. მეც ვფიქრობ, ადგილობრივ არჩევნებზე გახარიას ნამდვილად არ ექნება პრობლემა და, თუკი საგრძნობ წარმატებას მიაღწევს, ეს უკვე დიდი ავანსი იქნება საპარლამენტო არჩევნებისთვის. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ასეთი წარმატების დანახვის შემდეგ ვადამდელი არჩევნებიც დაინიშნოს, რათა პარლამენტში ადეკვატურად მოხდეს პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება და შემდეგ ეს აისახოს მთავრობის ფორმირებაზე.

– შეიძლება, კოალიციაზეც იფიქროს „ოცნებასთან“?

– დიახ. არაფერს გამოვრიცხავ. თუ ის ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ აიღებს და მას დასჭირდება დახმარება სხვა პარტიისგან, არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ „ოცნებასთან“ იფიქროს კოალიციაზე.

– ბატონო რამაზ, რას შეიძლება ნიშნავდეს კობახიძის განცხადება, რომ ისინი მზად არიან კომპრომისისთვისაც კი?

– კომპრომისი ალბათ შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც სასამართლო სისტემის რეფორმირებას გულისხმობს – საარჩევნო კოდექსს, საარჩევნო ბარიერსა და ა.შ. და არა ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ან მით უფრო – ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. თუ „ოცნება“ პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებს, მაშინ ეს პირდაპირ აღიარება იქნება, რომ ხელისუფლებას ჰყავდა პოლიტიკური ნიშნით დაკავებულები. არა მგონია, ასეთი დარტყმის ქვეშ დააყენონ საკუთარი თავი. იგივე შემიძლია ვთქვა არჩევნებზეც. ამ ორ საკითხზე მმართველი პარტია ვერ წავა დათმობაზე, რადგან ეს პირდაპირ საკუთარი თავის წინააღმდეგ წასვლა იქნება.

„გიორგი გახარია ხმებს „ქართულ ოცნებას“ წაართმევს“

გიგა ბუკია: „მოსახლეობასთან კომუნიკაცია ამ ხელისუფლების გადაუწყვეტელ პრობლემად დარჩა“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ მძაფრდება პროტესტი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის გამო? რა ტაქტიკა აირჩია გახარიამ პოლიტიკაში შემოსასვლელად? რატომ არ არის გამართლებული შუალედური საპარლამენტო არჩევნები გახარიას გუნდის წევრი მაჟორიტარებისათვის? რას არ უნდა კადრულობდნენ „ქართული ოცნების“ წევრები? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ გიგა ბუკიას.

— მოსახლეობის პროტესტი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გამო მძაფრდება და, სავარაუდოდ, ფართოვდება. აქტივისტები ჩივიან, რომ მათ წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს. მათ აბრალებენ ქსენოფობიურ განცხადებებს.

— ყველაფერი იმის ბრალია, რომ ხელისუფლებას არ აქვს ურთიერთობა საზოგადოებასთან. ადრეც მითქვამს, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაცია დარჩა ხელისუფლების გადაუწყვეტელ პრობლემად. „ოცნების“ კოალიციაში რომ ვიყავით, მაშინაც თვითკრიტიკულად ვიყავი განწყობილი და მიმაჩნდა, რომ ხალხს მეტად უნდა დაველაპარაკოთ. მესმის ამ ხალხის პროტესტისა. ეს ადამიანები გულწრფელები არიან. ისინი არ არიან ქსენოფობები. ეს არ ნიშნავს, რომ ეს მოძრაობა რაიმესაგან დაზღვეულია. ხშირია, როცა გულწრფელ, მართალ პროტესტს სხვა სახე ეძლევა და მას იყენებენ პოლიტიკოსები, ასევე — სხვა ქვეყნები. ამიტომ ხელისუფლებამ დროულად უნდა გასცეს პასუხი ამ თემაზე დაგროვილ შეკითხვებს. სწორი ის იქნებოდა, რომ ხალხი თავიდანვე ჩაეყენებინათ საქმის კურსში და მერე ემოქმედათ.

— თუ ახლა გაირკვა, რომ „ენკასთან“ ხელმოწერილი ხელშეკრულება ქვეყნისთვის მავნეა, მაშინ ის უნდა გაუქმდეს?

— სიმართლე გითხრათ, ამ ხელშეკრულებას არ ვიცნობ და ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ეს შესაბამისმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიკვლიონ. პირველ რიგში, ხელისუფლებამ ხალხს უნდა აუხსნას, რას აკეთებს, თორემ დრო გადის და გულწრფელ პროტესტანტებს შეიძლება მიეტმასნონ დაინტერესებული პირები და პროვოკატორები, საქართველოს არაკეთილისმსურველები. ხელისუფლებამ საქმე აქამდე არ უნდა მიიყვანოს.

„20 ივნისის შემდეგ გახარია „ქართულმა ოცნებამ“ დაბანა და დავარცხნაო — ამის თქმა პოლიტიკოსის მაღალ ინტელექტზე არ მეტყველებს“

— კრიტიკოსები ამბობენ, რომ კაბალური ხელშეკრულების გაფორმებისათვის პასუხი უნდა აგონ როგორც ახლანდელმა მაღალჩინოსნებმა, ისე გადამდგარმა პრემიერმა გიორგი გახარიამ. მისი გუნდის 6 წევრი პარლამენტის „ქართულ ოცნებას“ უკვე გაემიჯნა. ზოგიერთი ექსპერტი ამ ნაბიჯმა გააოცა. მათი აზრით, ჯერ პარტიის პრეზენტაცია უნდა შემდგარიყო და ამას უნდა მოჰყოლოდა პროცესი პარლამენტში.

— ეს ტაქტიკის ამბავია. არსად არ არის გაწერილი, პარტიის შექმნისას რა რის შემდეგ ხდება. გიორგი გახარიამ საჯაროდ თქვა, რომ რჩება პოლიტიკაში. მანვე დააანონსა პარტია. ***ძალა წაიღებს იმ ამომრჩევლის ხმებს, რომლებიც ენდობიან ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მათ თვალში არ მოსდით ღარიბა შვილი და კობახიძე.***

— ზოგადად, გახარია შეამცირებს „ქართული ოცნების“ ხმებს. როგორი წარმატება ექნება, რამდენი მოქალაქე დაუდგება გვერდით და რას გააკეთებს, ჯერ არ ვიცი. მისი განაცხადი ჯერ არ მოგვისმენია. ისე, პოლიტიკაში შანსი აქვს.

— 2019 წლის 20 ივნისს ბევრჯერ გაუხსენებენ. „ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, დიმიტრი სამხარაძე ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 20 ივნისის შემდეგ გახარია დაბანა და დავარცხნა.

— ამის თქმა პოლიტიკოსის გამოცდილებასა და მაღალ ინტელექტზე არ მეტყველებს. რას ჰქვია, „ოცნებამ“ დაბანა და დავარცხნა? საარჩევნო სიაში რომ პირველი იყო და შემდეგ პრემიერად დაამტკიცეს, მაშინ მისაღები იყო და ახლა მიუღებელი გახდა?!

— ითვლება, რომ გახარია ზომიერ ხაზს აირჩევს. მისი გუნდელები გმობენ რადიკალიზმს.

— სიმართლე გითხრათ, რადიკალიზმი, ორპარტიულობა, თეთრისა და შავის შებრძოლება ხალხს დიდი ხანია, მოჰბეზრდა. იქნება თუ არა გახარია ზომიერი, ამას საქმეები გამოაჩენს.

— რადიკალიზმი არ მინელებულა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ნიკა მელიას პატიმრობაში დატოვებამ მოლაპარაკებათა პროცესი საფრთხეში ჩააგდო.

— თუ მონაწილეებს თანხმობა არ უნდათ, ის ვერ იქნება. ნაციონალური მოძრაობა შეთანხმების შემდეგაც დესტრუქციულად იქცეოდა ხოლმე. ასე იყო წინა წლებშიც, ასე იყო შარშანაც. მაშინ რის ვაი-ვაგლახით მოხდა შეთანხმება პროპორციულთან მიახლოებულ საარჩევნო მოდელზე. ნაციონალური მოძრაობა ამას მხარს უჭერდა, მაგრამ პარლამენტში არ შევიდა და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. არჩევნები გაყალბდაო, ქვეყანა შეყარეს. არადა, ისევ არ შევიდა პარლამენტში და არ ჩაერთო არჩევნების შესაძლო გაყალბების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის მუშაობაში. ახლა რადიკალიზაცია უნდათ ნიკა მელიას საკითხით.

„ლიბერთის“ საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთი პოლიტიკური ქულების დაწერის თემად იქცა

მთავარი კითხვა ალბათ უნდა დაისვას არა იმაზე, მაღალია თუ დაბალი საპროცენტო განაკვეთი, არამედ, არის თუ არა ის საბაზრო

პარტია „მოქალაქეების“ ინიციატივით პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტში გამართულ მოსმენაზე „ლიბერთი ბანკის“ საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთის შესახებ იმსჯელეს. „მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი მიიჩნევს, რომ პენსიონერები არაადეკვატურად მაღალი საპროცენტო განაკვეთით იღებენ სამომხმარებლო სესხს და მათ არც სხვა ალტერნატივა გააჩნიათ.

საკომიტეტო მოსმენაზე პოზიციები და შეფასებები დააფიქსირეს „ლიბერთი ბანკის“ დირექტორმა ვასილ ხოდელმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი წოწკოლაურმა.

დეპუტატებმა დააყენეს გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც მთავრობამ პენსიების გაცემის ხელშეკრულების შემდგომ სატენდერო პირობებში შეიძლება გაითვალისწინოს. თავად „ლიბერთი ბანკის“ მენეჯმენტის განმარტებით, ბანკი ამ ტენდერშიც კონკურენციისთვის მზაობას აფიქსირებს.

„ლიბერთი ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნესის დირექტორ ვაჟა მენაბდის განმარტებით, ბანკი მუდამ მზად იყო და მზადაა, საკუთარი მიდგომები, საპენსიო სესხების საკითხი იქნება ეს თუ სხვა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გააცნოს.

მენაბდე აღნიშნავს, რომ შეხედულება იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულ მოქალაქეებს მხოლოდ „ლიბერთი ბანკიდან“ შეუძლიათ სესხების აღება, არ შეესაბამება რეალობას.

„სტატისტიკა სხვა რამეს ამბობს. კერძოდ, რეალობა ის არის, რომ თუ ასაკოვან მოქალაქეებს „ლიბერთი ბანკში“ დაახლოებით 400 მილიონი ლარის მოცულობის სესხები აქვთ, მათი ვალდებულებები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ჯამურად 1.5 მილიარდ ლარს აღწევს. რაც შეეხება საპენსიო სესხების წლიურ ეფექტურ საშუალო საპროცენტო განაკვეთს, ეს 30.65%-ია, რაც არც მაღალია და არც დაბალი, არამედ საბაზრო საპროცენტო განაკვეთია. თუ იმაზეა საუბარი, რამდენად კონკურენტულია დღეს უფროსი ასაკის ადამიანებისთვის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 30-დან 31%-მდე მერყეობს, გეტყვით, რომ კონკურენტულია“, — აღნიშნავს მენაბდე.

მისი თქმით, ეს კითხვები დიდი ხანია ისმის და ტრიალებს, რომ თითქოს რაღაც არ ხდება ისე, როგორც უნდა ხდებოდეს, პროცენტი უსამართლოა და სხვა. ამდენად, ძალიან კარგი იყო საფინანსო კომიტეტის ფორმატში გამართული შეხვედრა, რომელზეც ამ თემის განხილვის საშუალება მიეცა დაინტერესებულ საზოგადოებას.

„ჩვენმა თანამოქალაქეებმა მინდა იცოდნენ, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წლების წინ რიგ შემთხვევებში 200%-საც აჭარბებდა, ჩამოვიდა 100%-ზე, შემდეგ — მაქსიმალურ ზღვრულ წლიურ 50%-ზე. საკუთრივ „ლიბერთიში“ არაუზრუნველყოფილი სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 30.65%. რას ნიშნავს მაღალი საპროცენტო განაკვეთი, როცა ვსაუბრობთ საბაზრო ეკონომიკასა და საბაზრო ფასზე? — მთავარი კითხვა ალბათ უნდა დაისვას არა იმაზე, მაღალია თუ დაბალი საპროცენტო განაკვეთი, არამედ, არის თუ არა ის საბაზრო.

საკომიტეტო მოსმენაზე ჩვენ წარვადგინეთ ოფიციალური სტატისტიკა, რა განაკვეთებში გაიცემა მსგავსი ტიპის სესხები ბაზარზე. თუ შედარებას ვაკეთებთ, მნიშვნელოვანია, „ვაშლი ვაშლს შევადაროთ“ — მილიონდოლარიან სესხს რომ 1000-ლარიან სესხს შევადარებთ, თუნდაც იმიტომ იქნება სხვაობა, რომ სხვადასხვა ვალუტაა, სხვადასხვა რისკი და ა.შ. რაც შეეხება 1000-დან 2000 ლარამდე არაუზრუნველყოფილ სესხებზე საპროცენტო საკონტრაქტო განაკვეთს, ის სხვა ბანკებშიც 26-27%-ის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ესაა ნომინალური განაკვეთი, რომელსაც ემატება გაცემის საკომისიო, დაზღვევის ხარჯი, სხვა ხარჯები. შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რომ დავთვალოთ, სადაც შედის ყველა ფინანსური ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია სესხის აღებასთან, მთელ რიგ შემთხვევებში სხვა ბანკებშიც იგი 30%-ზე მეტიც კი გამოდის.

ანუ როდესაც ამბობენ, რომ „ლიბერთი ბანკის“ სესხები უფროსი თაობისთვის არის ძვირი, რეალურად, სხვა ანალოგიურ საბანკო პროდუქტებს რომ შევადაროთ, ასე არ არის“, — განმარტა მენაბდემ.

მან ასევე დეტალურად ისაუბრა იმის თაობაზე, თუ რა განსაზღვრავს სესხის ფასს.

„კრედიტი არის ფინანსური პროდუქტი, რომელსაც, როგორც ნებისმიერ სხვა პროდუქტს, თავისი თვითღირებულება და ფასი გააჩნია. ესაა რესურსის ღირებულება. ეს ფული ხომ უფასო არაა, რომელსაც ჩვენ სესხად გავცემთ. ამაში შედის დამფუძნებლების კაპიტალი, დეპოზიტარებისგან მოზიდული ფული, უცხოური პარტნიორებისგან ნასესხები ფული — ამ ყველაფერს თავისი ფასი გააჩნია. შემდეგ მოდის რისკი — მოგეხსენებათ, ამ ტიპის სესხებზე მთავარი რისკი არის გარდაცვალების რისკი და შემდეგ მოდის სხვა ხარჯები, როგორებიცაა თანამშრომლის ხელფასი, იჯარა, კომუნალური ხარჯები და სხვა. ამ ყველაფერს ხომ მომსახურება სჭირდება და, ეს ყველა ხარჯი რომ შევკრიბოთ, თვალნათლივ გამოჩნდება, საიდან ხდება ამ საპროცენტო განაკვეთის დადგენა. ჩვენი მთავარი მესიჯია, რომ არ არსებობს მაღალი და დაბალი ფასი. არსებობს მხოლოდ ერთი ფასი — საბაზრო ფასი. ხშირ შემთხვევაში ჩვენი შეთავაზება ამ საბაზრო ფასზე უკეთესიც კი არის“, — განმარტა მენაბდემ.

ვაჟა მენაბდემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რეკომენდაციებში, რომლებიც საკომიტეტო მოსმენაზე გაიცა, „ლიბერთი ბანკი“ საერთოდ არ არის ნახსენები.

„ჩვენ მიმართ მიმართ არანაირი თხოვნა, დავალება არ ყოფილა. ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ კომერციული სტრუქტურა, რომელიც საბაზრო პირობების გათვალისწინებით ემსახურება მომხმარებელს. რაც შეეხება რეკომენდაციების დანარჩენ ნაწილს, რომ იზრუნოს სააგენტომ ან ეროვნულმა ბანკმა გაცემული სესხების კუთხით მომხმარებლის უფლებებზე, ამას, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დაარეგულირებს კონკურენცია და შესაბამისი რეგულაციები. როდესაც გავა „ლიბერთი ბანკთან“ ხელშეკრულების ვადა, გამოცხადდება ახალი ტენდერი და ნებისმიერ ბანკს, რომელსაც აქვს სურვილი, მოემსახუროს პენსიების გაცემას და აიღოს ეს ვალდებულება საკუთარ თავზე, ამის განხორციელების შესაძლებლობა ექნება. სხვა ბანკების მხრიდან ინტერესი ადრეც გამოხატულა, თუმცა ტენდერში მონაწილეობა, „ლიბერთი ბანკის“ გარდა, სხვა ბანკს არ მიუღია. ბუნებრივია, ნებისმიერ ბანკს ყოველი ამ ტენდერის დროს შეეძლო და შეუძლია საკუთარი წინადადების დაყენება“, — ხაზგასმით აღნიშნა მენაბდემ.

მისი თქმით, რაც შეეხება რეგულაციებს ან სუბსიდიებს პენსიების გაცემისას, ეს საკითხი ბანკის გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ მისი განხილვისას ყველა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს.

„საქმე ის არის, რომ როდესაც ისეთ საკითხებზე ვსაუბრობთ, როგორიცაა კრედიტის ფასის რეგულირება (მე არ ვგულისხმობ საკრედიტო განაკვეთის ჭერის დაფიქსირებას, რაც ეროვნულმა ბანკმა დააფიქსირა 50%-ზე და ეს საჭირო და აუცილებელი იყო) და თუ საუბარია უშუალოდ კრედიტის ფასის რეგულირებაზე, ეს ნიშნავს, რომ ასეთივე წარმატებით შეიძლება ვიმსჯელოთ შაქრის ფასის რეგულირებაზე და ეს სადამდე მიგვიყვანს, ყველამ ვიცით — ერთ დღესაც შაქარი აღარ იქნება ბაზარზე, ასევე სესხი აღარ იქნება ბაზარზე და ამით დასრულდება ეს საკითხი. ასე დასრულება კი, დარწმუნებული ვარ, არც საბანკო სექტორს, არც ეროვნულ ბანკს, არც მთავრობასა და პარლამენტს და, რაც მთავარია, არც ჩვენს მომხმარებელს აძლევს ხელს“, — აღნიშნა ვაჟა მენაბდემ.

დათო გიორგაძე

დათუნა სარალიძის მკვლელობისთვის გიორგი მენაბდე დააკავეს

2017 წელს მომხდარი ჯგუფურად ჩადენილი სასტიკი მკვლელობის საქმეზე პოლიციამ კიდევ ერთი პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 2001 წელს დაბადებული გ.მ. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა, გ.ჯ.-სთან და მ.კ.-სთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად, 2017 წლის 2 დეკემბერს დავით სარალიძე გარდაიცვალა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს“, – ვკითხულობთ ინფორმაციაში.



დაკავებული დეკანოზ შიო მენაბდის შვილი გიორგი მენაბდეა.

მიხეილ კალანდიას ადვოკატი „რუსთავი 2“-თან აცხადებს, რომ მენაბდის დაკავება აქამდეც უნდა მომხდარიყო, რადგან დანაშაულის ჩადენის ერთადერთი იარაღი სწორედ მენაბდეს ეკუთვნოდა.

– მენაბდის დაკავება აქამდეც უნდა მომხდარიყო. ჩემი აზრით, ის ერთი დანა, რომელიც ინკოგნიტოა და გამოძიებაში არ დევს, ის დანა უნდა იყოს, რომელიც სწორედ მენაბდეს ეჭირა ხელში. პირდაპირ დასტურდება ბარბაქაძის მიერ მიცემული ჩვენება, სადაც ეს ბავშვი ამბობს, რომ მე ჩხუბში ჩავერთე მაშინ, როდესაც დავინახე, რომ მენაბდეს ზურგში დანა ჩაარტყესო. რატომ ჩაარტყეს მენაბდეს ეს დანა და რატომ კალანდიას არა, ამ კითხვას ვუსვამთ უკვე დიდი ხანია გამოძიებას. ალბათ, ის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენდა მისი მეგობრისთვის, ვიდრე კალანდია.

კალანდიას მენაბდის ნაწილში არაფერი აქვს დანახული და ტყუილს როგორ იტყვის ბავშვი. მან თქვა, რაც არ დამინახავს, იმას როგორ ვიტყვიო. 53-55 წამი გრძელდებოდა სულ ეს კონფლიქტი, – განაცხადა ზურაბ თოდუამ.

ტვ პირველი გიორგი მენაბდის დედას ესაუბრა.

დეკანოზ შიო მენაბდის მეუღლე ინტერესდება, რატომ ჩამოიღეს თაროდან საქმე ახლა, 3 წლის თავზე.

– შოკში ვარ... რატომ მოხდა 3 წლის შემდეგ, ეს მაქვს გასარკვევი, – განაცხადა დაკავებულის დედამ.

ბრალდებულის ოჯახის წევრები დეკანოზის მიერ შვილის მფარველობას კატეგორიულად უარყოფენ.

– რას ნიშნავს მფარველობდა?! სოფელ დიღმის მოძღვარი მფარველობს ვინმეს? ღვთის სამართლის იმედი მაქვს. ადამიანს მფარველობს ღმერთი და არა კონკრეტული სასულიერო პირი. ჩვენ პირველი დღიდან, მას შემდეგ, რაც გამთენიისას აიყვანეს გამოკითხვაზე, ვთანამშრომლობთ გამოძიებასთან, – თქვა დაკავებულის დედამ.

დეკანოზ შიოს მეუღლის თქმით, მის შვილს ჭრილობები აღენიშნებოდა.

– 0,3 მმ-ით ასცდა სასიკვდილო ჭრილობა... არაფერს აღიარებს, ყველამ იცის, რომ ამას ხელში არაფერი ეჭირა, – განაცხადა ბრალდებულის დედამ.

დეკანოზი შიო მენაბდე თავისი შვილის დაკავების შესახებ დუმს.

ვახო სანაიაზე თავდასხმისთვის დაკავებული 3 პირი პატიმრობაში დატოვეს

ჟურნალისტ ვახო სანაიას თავდასხმის საქმეზე ბრალდებული სამი პირის პატიმრობაში დატოვებას მათი ოჯახის წევრების უკმაყოფილება მოჰყვა. მცირე ხმაური იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში.

ერთ-ერთი დაკავებულის დედის განცხადებით, ვახო სანაიამ ყველაფერი მოიტყუა და მისი შვილი უდანაშაულოა.

ვახო სანაიას თავდასხმის საქმეზე ბრალდებული სულიკო საყევარაშვილი, გიორგი სახელაშვილი და ვაჟა გიგაური თბილისის საქალაქო სასამართლომ 15 აპრილს პატიმრობაში დატოვა.

– საქმეში არის ყველა მტკიცებულება იმისთვის, რომ საქმეზე გამოვიდეს სწორი გადაწყვეტილება, სწორი გადაწყვეტილება გულისხმობს იმას, რომ უნდა აღდგეს დაზარალებულის ინტერესები, ის მორალური ზიანი, რომელიც მიიღო ბატონმა ვახომ, მისმა ოჯახმა, შვილმა. დაზარალებულის ინტერესი არ არის არც ერთ შემთხვევაში შურისძიება, არამედ ჩვენი მიზანია, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლომ, – განაცხადა სანაიას ადვოკატმა ედუარდ მარიკაშვილმა.

საქმის პროკურორ ხატია ყანდიაშვილის განცხადებით, დაზარალებულ სანაიას ჩვენება კამერის ჩანაწერებთან სრულ თანხვედრაშია.

– პროკურატურის პოზიცია იყო ასეთი, რომ სამივე ბრალდებულის შემთხვევაში, პატიმრობა ძალაში უნდა დარჩენილიყო, რაც სასამართლომ სრულად გაიზიარა. ყველა პირი, ვინც ფაქტის შემსწრე იყო, მათ შორის, მაშველები, მძღოლი, დაზარალებულ სანაიას თანმხლები ყველა პირი გამოკითხულია გამოძიების ეტაპზე, გამოკითხვის ყველა ოქმი სასამართლოში წარმოდგენილია. სასამართლოს განჩინების საფუძველზე დათვალიერდა კამერის ჩანაწერი. ორივე დაზარალებულის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებიც წარმოდგენილია. კამერის ჩანაწერი ასახავს გარკვეულ მონაკვეთებს და ის დაზარალებულის ჩვენებასთან სრულ თანხვედრაშია, – განაცხადა პროკურორმა ყანდიაშვილმა. სამართალდამცავებმა ვახო სანაიას მიმართ მისი პროფესიული საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუქარის ფაქტზე 3 პირი დააკავეს.

მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რუსთავში 13 წლის გოგონა მე-3 სართულიდან გადავარდა და მანქანაზე დაეცა

რუსთავში, მე-17 მიკრორაიონში, 13 წლის გოგონა მე-3 სართულიდან გადმოვარდა.

როგორც „ინფო რუსთავს“ მოზარდის მეზობლებმა განუცხადეს, გოგონა ფანჯრიდან გადმოვარდნის შემდეგ ეზოში მდგარ ავტომობილზე დაეცა.

არასრულწლოვანი იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც აცხადებენ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ვარდნის შემდეგ მას სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები არ მიუღია.

არსებობს ვერსია, რომ გოგონას გადმოვარდნა „ლურჯ ვეშაპს“ ან სხვა რომელიმე ინტერნეტთამაშს უკავშირდება. ეჭვის საფუძველს იძლევა 3 თვის წინ მომხდარი ფაქტიც, როდესაც ამავე მოზარდის მეგობარი და თანაკლასელი ასევე მე-3 სართულიდან გადმოვარდა.

ორივე არასრულწლოვანი მე-10 სკოლის მოსწავლეა. სკოლის დირექტორის, მანანა ფიროსმანაშვილის, განცხადებით, მსგავსი დამთხვევები ეჭვს იწვევს.

– რა თქმა უნდა, რაღაცა ეჭვის საფუძველი არსებობს. ასეთი დამთხვევა იშვიათია, როდესაც ერთი კლასიდან, ორივე გოგონა, თან მეგობრები არიან და ასეთი შემთხვევა ხდება.

ჯერჯერობით ამ ფაქტთან დაკავშირებით მოსწავლეებთან მე კომუნიკაცია არ მქონია, აუცილებლად დამრიგებელთან ერთად შევხვდები კლასს, შემდეგ კი – მასწავლებლებსა და მშობლებს, რათა დეტალური ინფორმაცია გავიგოთ, რაღაცა ისეთი ხომ არ ხდება, რაზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ.

თუ გამოიკვეთება ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აქ დასამალი არაფერი არ არის და ჩვენ ამას საჯაროსაც გავხდით, თუ ასეთ თამაშებთანაა დაკავშირებული, – განაცხადა მანანა ფიროსმანაშვილმა.

ბათუმში აფთიაქი გაძარცვეს

ბათუმში 14 აპრილს, გვიან ღამით, კომენდანტის საათის დროს, აღმაშენებლის ქუჩაზე აფთიაქი გაძარცვეს.

როგორც „ფარმა სახლის“ ხელმძღვანელი ლიანა კვირკველია ამბობს, წაღებულია 200 ლარამდე ოდენობის თანხა.

დილიდან ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ, ამოღებულია ვიდეოკამერების ჩანაწერები.

უკრაინაში ავარიაში 2 ქართველი დაიღუპა

უკრაინაში ავტოსაგზაო შემთხვევას საქართველოს ორი მოქალაქე ემსხვერპლა. მათ ზუგდიდში, სავარაუდოდ, 16 აპრილს ჩამოასვენებენ.

ერთ-ერთი ზუგდიდელი 46 წლის დათო კვარაცხელიაა, რომელიც ცოლთან ერთად წლები უკრაინაში ცხოვრობდა და იქიდან დედას, დას და ავადმყოფ დისშვილს არჩენდა.

ავარიაში დაშავებულის მიტოვებისთვის ბრალდებულს 6 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისა და დაზარალებულის განსაცდელში მიტოვებისთვის ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისა და დაზარალებულის განსაცდელში მიტოვებისთვის ბრალდებული გ.დ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 28 სექტემბერს, რუსთავში გ.დ.-მ, რომელიც „ფორდ მუსტანგის“ მარკის ავტომობილს მართავდა, ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვა და ქვეით ე.ბ.-ს შეეჯახა.

მიუხედავად იმისა, რომ ე.ბ.-მ სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიიღო და სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გ.დ.-მ მას დახმარება არ აღმოუჩინა და ავტომობილით მოძრაობა განაგრძო. ე.ბ. მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა გ.დ. 2020 წლის 29 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) და 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ გ.დ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

შსს-მ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით 6 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ქალაქ ბათუმში 1987 წელს დაბადებული რ.წ. 1993 წელს დაბადებული ფ.წ. 1997 წელს დაბადებული თ.ჭ. 1995 წელს დაბადებული თ.ჭ. 1999 წელს დაბადებული გ.ჭ. და 2000 წელს დაბადებულ ი.ჭ. ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 12 აპრილს ქალაქ ქუთაისში, გუმათჰესის დასახლებაში ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ჯგუფურად იძალადეს და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს აქციაზე მყოფ სამ პირს, ასევე, დააზიანეს ერთ-ერთი დაზარალებულის კუთვნილი ავტომანქანა.

ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიკა ბასილაშვილის ახალი სკანდალი

მას კიდევ ერთი პირი უჩივის



საქართველოს პირველი ჩოგნის, ნიკა ბასილაშვილის, გარშემო ახალი სკანდალი აგორდა.

მას ყოფილი ინვესტორი უჩივის, რომლის ვინაობაც არ სახელდება.

როგორც ყოფილი ინვესტორი ირწმუნება, მან დიდი წვლილი შეიტანა ბასილაშვილის კარიერულ წარმატებაში, სანაცვლოდ კი ტურნირებიდან საპრიზო თანხის გარკვეული ნაწილი უნდა მიეღო, რაც ქართველმა სპორტსმენმა არ გააკეთა.

ამ საქმის განხილვა საქართველოს სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟში უახლოეს მომავალში დაიწყება.

ნიკა ბასილაშვილს ყოფილი მეუღლე, ნელი დოროყაშვილიც უჩივის, რომელიც ძალადობას ედავება.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.528 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.528 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 117 ფიზიკური პირი დაჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1 257 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 154 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

ჯო ბაიდენმა რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა

ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა.

სანქციების სამიზნე, რომელიც ბოლო დროს განხორციელებული კიბერთავდასხმებისა და 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვის ჩარევის საპასუხოდ დაწესდა, 30-ზე მეტი რუსული ორგანიზაციაა. სანქციები ასევე ითვალისწინებს აშშ-დან რუსეთის 10 მოქალაქის, მათ შორის დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებისა და დიპლომატების გაძევებას.

ადმინისტრაციამ ასევე გამოსცა აღმასრულებელი ბრძანება, რომელიც აშშ-ის ფინანსურ ინსტიტუტებს რუბლის ნომინალის ობლიგაციების შეძენას უკრძალავს.

საუბარია რუსეთის ცენტრალური ბანკის, ეროვნული სიმდიდრის ფონდის ან რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ 2021 წლის 14 ივნისის შემდეგ გამოშვებულ ობლიგაციებზე.

უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების საგარეო მინისტრები რუსეთის აგრესიას გმობენ

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრი კულებას განცხადებით, უკრაინისთვის „წითელი ხაზი“, რომელიც რუსეთმა არ უნდა გადაკვეთოს, სახელმწიფო საზღვარია.

– უკრაინის „წითელი ხაზი“ არის სახელმწიფო საზღვარი. თუ რუსეთი გადაკვეთს „წითელ ხაზს“, მაშინ ამას შედეგები უნდა მოჰყვეს, – აღნიშნა მან ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, აუცილებელია, რუსეთს აჩვენონ, რომ დონბასის რეგიონში ესკალაციის გააქტიურებას მისთვის „ძალიან მტკივნეული“ შედეგები ექნება.

– დღეს ოთხივე ჩვენგანს შეუძლია, მტკიცედ განაცხადოს, რომ ვგმობთ რუსეთის მიერ სიტუაციის გამწვავებასა და მოსკოვის განცხადებებს, რომლებიც დაძაბულობის ესკალაციას ისახავს მიზნად, – აღნიშნა დმიტრი კულებამ.

ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრები უკრაინაში 15 აპრილს ჩავიდნენ.

ისრაელში ვაქცინის ორივე დოზა მოსახლეობის 54.8%-მა მიიღო, ჩილეში — 26%-მა, აშშ-ში კი — 23%-მა



კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 154 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 832 მილიონამდე დოზაა გამოყენებული, რაც პლანეტის მოსახლეობის 5.4%-ის ვაქცინაციისთვის არის საკმარისი.

მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად საშუალოდ 18.8 მილიონ ადამიანს უტარდება. აშშ-ში ვაქცინის 194 მილიონი დოზა გამოიყენეს, ჩინეთში – 175 მილიონი, ინდოეთში – 114 მილიონი, ევროკავშირში კი – 101 მილიონი.

ისრაელში ვაქცინაცია ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. იქ მოსახლეობის 54.8% ვაქცინის ორივე დოზით აიცრა.

მას მოჰყვება ჩილე, სადაც ვაქცინის ორივე დოზა მოქალაქეთა 26%-მა მიიღო. მე-3 ადგილს აშშ იკავებს 23%-ით, მეოთხე ადგილზე მაროკოა, სადაც მოსახლეობის 11%-მა ვაქცინის ორივე დოზა მიიღო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა პრინცი ჰარის დაპატიმრება მოითხოვა

ინდოეთის მკვიდრმა ქალმა სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, პასუხისგებაში მიეცეს დიდი ბრიტანეთის პრინცი ჰარი. მისი თქმით, პრინცს მასზე დაქორწინება სურდა, მაგრამ დადებული ფიცი დაარღვია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

ადვოკატი პალვინდერ სინგხი ამტკიცებდა, რომ სოციალურ ქსელებში პრინც ჰარისთან ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ჰქონდა. თავის გზავნილებში პრინცი თითქოსდა მალე დაქორწინებას ჰპირდებოდა. ამავე დროს, ქალი აღიარებს, რომ არასოდეს ყოფილა დიდ ბრიტანეთში და პრინც ჰარის პირადად არ შეხვედრია.

სინგხმა მისი დაპატიმრება მოითხოვა, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი შეფერხებები, რომლებმაც, შესაძლოა, მათ დაქორწინებას ხელი შეუშალოს. ქალის მიმართვა განიხილა და უარყო პენჯაბისა და ხარიანის შტატების უზენაესმა სასამართლომ. მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ ქალი უცნობი თაღლითის მსხვერპლი გახდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 170 წლისაა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 2021 წელს დაარსებიდან 170 წლის იუბილეს აღნიშნავს.

საიუბილეო თარიღი თეატრმა სეზონის გახსნაზე გალაკონცერტებით აღნიშნა. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული რთული ვითარებისა, გალაკონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა და თეატრში მისული მონატრებული მაყურებლის გულწრფელი ემოციაც დაიმსახურა.

ბადრი მაისურაძე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– მინდა გამოვხატო ჩემი უაღრესად გულწრფელი აღტაცება თეატრის თითოეული თანამშრომლის მიმართ ორი გალაკონცერტის ბრწყინვალედ ჩატარებისთვის! ეპიდემიური სიტუაციისა და ერთწლიანი პაუზის მიუხედავად, თქვენმა უდავო თავდადებამ, ოსტატობამ, პროფესიონალიზმმა და, რა თქმა უნდა, ხელოვნებისადმი ერთგულებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენ „გვიყვარს ხელოვნება ჩვენში და არა ჩვენი თავი ხელოვნებაში“! ორკესტრის 130 მუსიკოსს, გუნდის 80 არტისტს, 50 სოლისტ-ვოკალისტს, 5 დირიჟორსა და თეატრის თითოეულ ერთგულ თანამშრომელს, მადლობა ყველას! ვუერთდები აღფრთოვანებული მაყურებლის ცრემლებს... და წინ ახალი წარმატებების „კურცხალისათვის“!

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ ღვთისმშობლის ეკლესიის დაზიანების ფაქტზე მოკვლევა დაიწყო

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას ღვთისმშობლის ეკლესიის დაზიანების ფაქტს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიცია მოიკვლევს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე სამართლებრივი ძიებით დადგინდება იმ პირთა ჯგუფი, რომლის ინიციატივით დაწყებულ უნებართვო სამუშაოებს X საუკუნის დარბაზული ეკლესიის უხეში ხელყოფა მოჰყვა.

სააგენტოს ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ტაძრის პერიმეტრზე მნიშვნელოვანი დაზიანება მიიღო არქეოლოგიურმა ფენებმა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პერიმეტრზე მოთხრილი მიწის ფენაში დაიმტვრა ეკლესიის საპირე წყობის ქვები და სამარხები, დაზიანდა ჯვრის ბაზალტის ბაზისიც. დაფიქსირდა გათხრილი სამარხებიდან უსისტემოდ ამოღებული ანთროპოლოგიური მასალა და უნებართვო სამუშაოებისას დატეხილი განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმი. მნიშვნელოვანი ზიანი მიიღო ტაძრის სტრუქტურამაც. საძირკვლის ფენამდე მოჭრილი მიწის შედეგად დეგრადირდა ეკლესიის კედელი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექციის სამსახურის სპეციალისტები ძეგლის დაზიანების ხარისხს შეაფასებენ, რომლის შემდეგაც განისაზღვრება გამოსასწორებელი ქმედებები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა შეყვარებულს არ დაუჯერა და გამდიდრდა

უელსის ქალაქ მერტირ-ტიდვილის მკვიდრმა ქალმა შეყვარებულის რჩევას, რომ თავი დაენებებინა ლატარიის თამაშისთვის, ყური არ უგდო და მილიონი ფუნტი სტერლინგის ჯეკპოტი მოხსნა.

ხანდაზმულთა სახლის 26 წლის თანამშრომელი სარა ტომასი შესვენების დროს მაღაზიაში შევიდა ორცხობილის საყიდლად და მასთან ერთად ლატარიის ბილეთიც შეიძინა.

– ჩემი ბოიფრენდი შონი ხუმრობით მეუბნებოდა: „ნუ ყიდულობ მათ, მაინც ვერაფერს მოიგებ“ – იხსენებს ქალი.

ტომასმა ლატარიის გათამაშების შედეგები შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მილიონი ფუნტი სტერლინგით გამდიდრდა. მან მოგების შესახებ კოლეგებს მოუყვა, თუმცა ვერავინ და ვერც საკუთარი თავი დააჯერა საკუთარ წარმატებაში. მან თანამშრომელს სთხოვა დაერეკა ლატარიის შტაბ-ბინაში და დარწმუნებულიყო, რომ ეს ხუმრობა არ იყო.

– როდესაც შტაბ-ბინაში დაადასტურეს, რომ მართლაც გამარჯვებული ვიყავი, ყველანი სიხარულისგან ავყვირდით. მანამდე ვერაფრით ვიჯერებდი ამ ყოველივეს, – აღიარა უელსელმა ქალმა.

როდესაც ეს სასიხარულო ამბავი ქალის 28 წლის შეყვარებულმა შონ უორნერმა შეიტყო, სარას ურჩია, იმავე დღეს წამოსულიყო სამსახურიდან, მაგრამ ქალმა უარით უპასუხა. მისი თქმით, მას კოლეგების მიტოვება არ სურდა, ვინაიდან მას თავისი სამსახური უყვარს და იქიდან წამოსვლას არ აპირებს.

ქალს, რომელიც კვალიფიციური სტილისტია, იმედი აქვს, რომ ეს მოგება, მას ოცნების ასრულებაში, საკუთარი ბიზნესის დაწყებაში დაეხმარება. გარდა ამისა, ის და მისი შეყვარებული ბაღიანი სახლის ყიდვას და სამოგზაუროდ წასვლას გეგმავენ. ლატარიის გამარჯვებულს ასევე მანქანის მართვის მოწმობის აღება და მომავალში ავტომობილის ყიდვა სურს.

მამაკაცს მისამართი შეეშალა და კინაღამ სხვის პატარძალზე იქორწინა

ინდონეზიაში მამაკაცს მისამართი შეეშალა და კინაღამ სხვის პატარძალზე იქორწინა, ეს ყოველივე გუგლ მარსის შეცდომის გამო ცენტრალური იავის პროვინციაში მოხდა.

სიძის მხლებლებმა გადაწყვიტეს, საქორწინო ცერემონიის ადგილისკენ გზა გუგლის რუკის დახმარებით გაეკვლიათ, თუმცა სერვისში დაშვებული უზუსტობის შედეგად ისინი მეზობელ დასახლებაში აღმოჩნდნენ.

დამთხვევის შედეგად იქაც ქორწილი უნდა გამართულიყო, სიძე კი იგვიანებდა. სტუმრები კარგად მიიღეს, მაგრამ პატარძლის ერთ-ერთ ნათესავთან საუბრის დროს გაირკვა, რომ შეცდომას ჰქონდა ადგილი და მალე მათ სწორი მისამართი უკარნახეს.

ფრინველის დაჯახებამ მოტოციკლისტი იმსხვერპლა

ინგლისის საუთ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ შეფილდში ხანდაზმული მოტოციკლისტი მის ჩაფხუტში შევარდნილმა ჩიტმა იმსხვერპლა.

73 წლის უილიამ ჯექსონმა მოტოციკლით ორ ავტომობილს გაუსწრო. როდესაც მან ეს მანევრი დაასრულა და თავის ხაზში დაბრუნდა, მის ჩაფხუტს ფრინველი შეასკდა.

დარტყმის შედეგად მოტოციკლი გზიდან გადავიდა, მამაკაცი სავარძლიდან გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა. მოგვიანებით მისი ცხედარი გზისპირას, არხში აღმოაჩინეს. პოლიცია მომხდარის თვითმხილველებს ეძებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავით ფოცხიშვილმა მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული ფილმების გადაღება დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ზერეალობა ანუ „სიურრეალიზმი“, ვფიქრობ, ეს მიმდინარეობა ჩემში დაბადებიდან დევს. ბევრჯერ შემიქმნია თამამი ქორეოგრაფიული ეპიზოდები ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. სწორედ სიურრეალიზმია ის ხელოვნების მიმდინარეობა, რომელშიც მე კომფორტულად ვგრძნობ თავს...

შევეცდები, ჩემი ხედვა გაგიზიაროთ: „სიურრეალიზმი და ტრადიციული დენს ავანგარდი“: როდესაც ვაჟღერებთ სიტყვა სიურრეალიზმს, ის თავისი შემეცნებით ტრადიციებს ეწინააღმდეგება. იგი უარყოფს ტრადიციულ ხელოვნებას და ყოველივე ჩვეულებრივს, მაგრამ, ჩვენ თუ ტრადიციულ პლასტიკას გავაზავებთ თავისუფალ პლასტიკაში, გავხსნით ქვეცნობიერს. ანდრე ბრეტონი: „სიურრეალიზმი ვერბალურად, წერით თუ ნებისმიერი სხვა სახით გამოხატავს ფიქრის რეალურ ფუნქციონირებას“.

როდესაც სცენარი ავაცეკვე, თავად სცენარის კონცეფციამ, ამბავმა წამიყვანა განსხვავებული პლასტიკისკენ. ძალაუნებურად მიჰყვები და ეს ჩვეულებრივად ვითარდება, ვერც კი ხვდები, საით მიექანები, მიჰყვები და გიყვით ცეკვავ. როდესაც სცენარს უერთდება ქორეოგრაფია, დომინანტი, რა თქმა უნდა, ამბავია, რომელიც სცენარისტმა დაწერა, შენ კი ამ სცენარის მიხედვით პლასტიკით ქმნი ჩანახატებს. წარმოუდგენელი საოცრებაა, როდესაც რაღაცას ქმნი. სწორედ ამაშია ხელოვნების საიდუმლო და აზარტი. ზოგადად ვინც ფოლკლორის ჩარჩოებს გასცილებიხართ, ალბათ ხვდებით, რაზეც ვსაუბრობ.

მოკლედ, ჩემი სურვილია, პერსონაჟებმა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ჩემს მოკლემეტრაჟიან ფილმებში, სასნაულები აკეთონ. მინდა, მოცეკვავეების თვალებში უფრო ღრმად ჩაგახედოთ! „დავზუმო“ ანუ უფრო ახლოს მოვიყვანო მათი პლასტიკა და ემოციები.

40 წელია, სცენაზე ვმოღვაწეობ, კარგად ვიცი სცენის დადებითი და უარყოფითი მხარეები. სცენა რეალური სამყაროა, სადაც ნატურაში ხდება მოქმედება, რაც ჩემთვის ყველაფერია, მაგრამ იმას, რაც მე მაქვს ჩაფიქრებული, ასე დეტალურად სცენაზე ვერ დაალაგებ. სცენას თავისი ბნელი ადგილები გააჩნია, სადაც უბრალოდ იკარგება კიდეც შენი იდეები. გპირდებით, ჩემს პერფორმანსებში ბინოკლი არ დაგჭირდებათ, ყველაფერს უფრო ახლოს, ხელისგულზე დაგიდებთ.

უამრავმა ადამიანმა მიიღო ამ პროექტში მონაწილეობა და ყველას ძალიან დიდ მადლობას გეუბნებით! პირველ რიგში მადლობა იმისთვის, რომ ჩემს სიგიჟეებს აჰყევით.

საქართველოს ქალთა ნაკრებს გიორგი ჩხაიძე გაწვრთნის

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრებს გიორგი ჩხაიძე უხელმძღვანელებს. ახალგაზრდა სპეციალისტის სახელს ქალთა ფეხბურთის ბოლო წლების ყველაზე დიდი წარმატება უკავშირდება. გეხსომებათ, ჩხაიძის ხელმძღვანელობით საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთი პირველი ქართული კლუბი გახდა, რომელმაც უეფას 2020-21 წლის სეზონის ქალთა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა.

ჩხაიძე ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთში მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2018 წელს მუშაობდა, ერთწლიანი პაუზის შემდეგ კი მშობლიური ქალაქის ქალთა კლუბს უკვე 2020 წელს დაუბრუნდა და საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშის შემდეგ მისი ხელმძღვანელობით ლანჩხუთი ევროპის საუკეთესო 32 კლუბს შორის მოხვდა. ჩხაიძესთან ერთად ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთი საქართველოს ჩემპიონატში ორჯერ დაეუფლა ვერცხლის მედლებს.

ჩხაიძე საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლევან ბაჯელიძეს შეცვლის. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. მატჩები მიმდინარე წლის 13 სექტემბრიდან 2022 წლის 11 ოქტომბრის ჩაითვლით გაიმართება.

ალექსანდრე იაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი:

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ლევან ბაჯელიძეს, რომელმაც რთულ პერიოდში ჩაიბარა საქართველოს ქალთა ნაკრები. მან ბევრი გააკეთა ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად და მისი საქმიანობა საქართველოს ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. რაც შეეხება ახალ მთავარ მწვრთნელს, მჯერა, რომ ის ენთუზიაზმი და საქმისადმი დამოკიდებულება, რომელიც გიორგი ჩხაიძემ გამოავლინა ქალთა საკლუბო ფეხბურთში, ახალი, საინტერესო ეტაპი იქნება ჩვენი გუნდისთვის. დარწმუნებული ვარ, მისი საქმიანობა ქალთა საფეხბურთო ნაკრების გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად წარმატებას მოუტანს ჩვენს ნაკრებს. მაქსიმალურად იქნება გამოყენებული რესურსი, რომელიც აქვთ ქალ ფეხბურთელებს, რადგან წლების განმავლობაში სწორედ ისინი იყვნენ ეროვნული ნაკრების წევრები და მათ შეუძლიათ, კიდევ უფრო გაზარდონ ინტერესი ახალი თაობის უფრო მეტი ჩართულობის მხრივ. წარმატებები ახალ მთავარ მწვრთნელს თავის საქმიანობაში.

ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ასევე ისაუბრა დაგეგმილ სიახლეებზე, რომლებიც უკავშირდება ქალთა როგორც ასაკობრივ, ისე ეროვნულ ნაკრებს.

– უახლოეს პერიოდში ბევრ სიახლეს ვგეგმავთ. ქალთა ნაკრებების მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლის მიზანიც იყო გოგონათა მეტი ჩართულობა ფეხბურთში. ჩვენ ყოველწლიურად ვხედავთ ფეხბურთში გოგონათა რაოდენობის ზრდას.

გიორგი ჩხაიძე:

– პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რადგან ნდობა გამომიცხადეს. ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის და ნამდვილად დიდი გამოწვევაა. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ დრო დამჭირდა. ასეთ ნაბიჯს დაუფიქრებლად ვერ გადადგამ, რადგან შენ უკან შენი ქვეყანა, შენი ნაკრები დგას და ორმაგი პასუხისმგებლობაა. ვეცდები, იმედები გავამართლო. თავს არ დავზოგავ შრომისთვის. ჩვენი მიზანი იქნება შედეგის გაუმჯობესება, ვეცდებით, ყველანაირად დღითი დღე მოვუმატოთ, მეტი ქულა დავაგროვოთ და მეტმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა მიიღოს მონაწილეობა, გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად.

რეალი და სიტი ნახევარფინალისტებს შეუერთდნენ

ლივერპული – ჩელსი 0:0

ლივერპული: ალისონი, ალექსანდერ-არნოლდი, ფილიპსი, კაბაკი (ჟოტა 60), რობერტსონი, ვეინალდუმი, ფაბინიო, მილნერი (ალკანტარა 60), სალაჰი, ფირმინო (შაჩირი 82), მანე (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 82)

რეალი: კურტუა, ვალვერდე, მილიტაო, ნაჩო, მენდი, მოდრიჩი, კაზემირო, კროოსი (ოდრიოსოლა 72), ასენსიო (ისკო 82), ბენზემა, ვინისიუსი (როდრიგო 72)

მადრიდის რეალმა მოახერხა და „ენფილდზე“ შინ მოპოვებული უპირატესობა (3:1) არ გაანიავა. შედეგად, ორი მატჩის ჯამში ზინედინ ზიდანის გუნდი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ ლონდონის ჩელსი ეყოლება

რეალს საპასუხო მატჩი იოლი ნამდვილად არ ჰქონია. ლივერპული უფრო ორიგინალური იყო, ვიდრე პირველ მატჩში. მეტსაც უტევდა, მეტ მომენტს ქმნიდა. სათამაშო უპირატესობაზე საერთოდ ზედმეტია საუბარი, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

რეალი მშვიდად ვერ იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ლივერპულმა მადრიდელთა კართან ბლომად ხიფათი შექმნა, ჯამში ზიდანის პოლიტიკამ გაამართლა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტიბო კურტუა

მშვენიერი თამაში ჩაატარა მადრიდელთა მეკარემ და, რეალმა გოლი რომ არ გაუშვა, მისი დამსახურება დიდია. პირველივე წუთიდან საუკეთესოდ ჩანდა და მატჩის ბოლომდეც ასე მივიდა.

იურგენ კლოპი:

– მატჩის დასაწყისში ძალიან კარგად ვთამაშობდით. დროის გასვლასთან ერთად, ჩვენთვის ყველაფერი რთულდებოდა. მეორე ტაიმში რეალმა თამაშზე მცირე კონტროლი აიღო. ახლა ჩვენი მიზანი ის გახლავთ, რომ შემდეგ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე აუცილებლად მოვხვდეთ. ჩვენ ლივერპული ვართ და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მადრიდში გაშვებული მესამე გოლი დიდი იმედგაცრუება იყო. ვფიქრობ, პირველ 15 წუთში რომ გაგვეტანა, მატჩის სცენარი სხვანაირად განვითარდებოდა.

ზინედინ ზიდანი:

– მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც გვსურდა. ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. ლივერპულთან სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა დასახულ მიზანს მივაღწიეთ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს დიდ შტორმს გავუძელით და სიამაყის საფუძველი ნამდვილად გაგვაჩნია. მეტოქემ თავიდანვე სწრაფი ტემპი შემოგვთავაზა, რისთვისაც მზად აღმოვჩნდით. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში უბრძოლველად ვერ გახვალ. ჩვენც ეს ბრძოლა გამოვიარეთ.

დორტმუნდი – სიტი 1:2

1:0 ბელინგემი (15), 1:1 მაჰრეზი (55პ), 1:2 ფოდენი (75)

დორტმუნდი: ჰიტცი, ბაუზა (ტიგესი 81), აკანჯი, ჰუმელსი, გერეირო, ბელინგემი (ბრანდტი 80), ჯანი, დაუდი (ტ.აზარი 75), კნაუფი (რეინა 68), ჰაალანდი, როისი

სიტი: ედერსონი, უოკერი, სტოუნსი, დიაში, ზინჩენკო, დე ბრუინი, როდრი, გუნდოგანი, მაჰრეზი (სტერლინგი 88), ბ.სილვა, ფოდენი

დორტმუნდი ბევრს ეცადა, რათა ჩემპიონთა ლიგაზე გეტმენული ფეხბურთის პრესტიჟი დაეცვა, მაგრამ ამაო გამოდგა.

მართალია, პირველი გოლი დორტმუნდმა გაიტანა და ახლოს იყო ნახევარფინალში გასასვლელად, მაგრამ სიტიმ მეორე ტაიმში მატჩის შემობრუნება მოახერხა და ახლა პარი სენ-ჟერმენს სწორედ ინგლისური კლუბი შეხვდება.

იყო სადავო მომენტი, როდესაც დორტმუნდის კარში პენალტი დაინიშნა. კიდევ ბევრი საუბარი იქნება ამაზე, მაგრამ უკვე აღარაფერი ეშველება, რადგან ოქმი უკვე შედგენილია და ჩემპიონთა ლიგაზე სვლას ინგლისური გუნდი აგრძელებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ფილ ფოდენი

სულ 20 წლის არის ფოდენი და უკვე სერიოზულად დაიმკვიდრა თავი გუნდში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე აცხადებს პრეტენზიას. გუნდში ყველაზე აქტიური იყო და, თუ დორტმუნდის კართან სახიფათო მომენტები იქმნებოდა – მხოლოდ მისი დამსახურებით.

ედინ ტეზიჩი:

– მსაჯებმა ბოლო პერიოდში ბევრჯერ გაგვწირეს, არადა, მათ ხშირად ამზადებენ და სპეციალურ ვარჯიშებს უტარებენ. ბოლო 7 დღის განმავლობაში არბიტრების გადაწყვეტილებებში არ გაგვიმართლა. ხშირად ჩვენ საზიანოდ ცდებოდნენ. წაგებას არ ვიმსახურებდით. მეტოქეს არაფერში ჩამოვუვარდებოდით, მაგრამ მაინც წავაგეთ. ამაში კი თავისი წვლილი არბიტრმაც შეიტანა.

პეპ გვარდიოლა:

– განსაკუთრებული გრძნობაა. სიტისთან ერთად ნახევარფინალში მეორედ გავედი. ამ გუნდს დიდი ისტორია არ აქვს, მაგრამ ჩვენ ერთად დავწერთ ახალს. ყველანი ძალიან ბედნიერები ვართ. ჩვენ მსოფლიოს 4 საუკეთესო გუნდში მოვხვდით. პირველი და მეორე ტაიმის ბოლო 30 წუთი ჩემმა გუნდმა საოცრად ითამაშა. ფოდენი გატანილი გოლის შემდეგ ჩემთან გამოიქცა და ვუთხარი, რომ კარგი დარტყმა იყო. ამისთვის მადლობა გადავუხადე. ფილი ჩემთან ჩახუტებით მთელ გუნდს ჩაეხუტა. სასწაულია ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

საბურთალომ მოლდოველის გოლებით მოიგო

სამტრედია-საბურთალო 2:3

სამტრედია. ერესი მანვჯალაძე

0:1 მანდრიჩენკო (9), 1:1 რუხაძე (1:1), 1:2 მანდრიჩენკო (39), 2:2 ჟუნიორი (48), 2:3 მანდრიჩენკო (52)

სამტრედია: კულუა, ცეცხლაძე (რობაქიძე 61), კვირკვია, მესიაჩენკო, კობახიძე (ილურიძე 61), ჟუნიორი (ლომთაძე 81), ერაძე, რუხაძე (ჯიქია 81), იოსელიანი, სამბუ, გიორგაძე (ნადირაძე 74)

საბურთალო: გოშაძე, ლაცაბიძე, ჯინჯოლავა, შ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე (შულაია 53), ლ.ნონიკაშვილი (კოხრეიძე 68), კაკუბავა, ტერა (ძებნიაური 68, თ.ტაბატაძე (ამინუ 87), გოჩოლეიშვილი ჩაჩუა 87), მანდრიჩენკო

საქართველოს ეროვნული ლიგის მე-9 ტურის პირველ შეხვედრაში თბილისის საბურთალომ სტუმრად მოუგო სამტრედიას – 3:2.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩი დმიტრი მანდრიჩენკოს ბენეფისად იქცა. მოლდოველმა ფეხბურთელმა ყველაფერი გააკეთა, რომ საბურთალოს იმერეთიდან სამი ქულა წამოეღო.

ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა: მანდრიჩენკომ იური ტაბატაძის პასი გამოიყენა და გოგი კულუას ახლო კუთხეში გაუტანა – 0:1.

იმერლებმა მალევე გაათანაბრეს – გივი იოსელიანის ჩაწოდებული ბურთი კარისკენ ნათან ჟუნიორმა გადაგზავნა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, თუმცა იქვე ირაკლი რუხაძე იყო ჩასაფრებული და ცარიელ კარში თავით დაამატა – 1:1.

39-ე წუთზე კი მანდრიჩენკომ უკვე ლევან ნონიკაშვილის პასი გამოიყენა, მცველი მხრით მოიშორა და დუბლი შეასრულა – 1:2.

როგორც კი მეორე ტაიმი გახახლდა, მასპინძლებმა ისევ გაათანაბრეს: ისევ იოსელიანის ჩაწოდება და ჟუნიორმა ამჯერად უკვე გოლი გაიტანა – 2:2.

სამტრედია მანდრიჩენკოსთან ერთად მეკარემაც დააღალატა – 52-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე კულუამ დამაჯერებლად ვერ ითამაშა და მანდრიჩენკომ „ქართული“ ჰეთ თრიკი გაიფორმა.

სატუჩნიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	8	6	1	1	15-6	19
2.დინამო (ბთ)	8	5	3	0	10-3	18
3.დილა	8	4	2	2	9-5	14
4.საბურთალო	9	3	5	1	12-9	14
5.ლოკომოტივი	8	4	2	2	15-13	14
6.შუქურა	8	2	3	3	7-8	9
7.სამგურალი	8	1	3	4	5-10	6
8.თელავი	8	1	3	4	6-12	6
9.ტორპედო	8	0	5	3	4-9	5
10.სამტრედია	9	1	1	7	7-15	4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ოლიმპიადა საფრთხეშია

კორონავირუსის პანდემიის გამო ერთი წლით გადადებულ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე უკვე უკუთვლა დაიწყეს. ოლიმპიური რგოლებიანი პოსტამენტი ტაკაოს მთაზე, ზღვის დონიდან 599 მეტრის სიმაღლეზე დაიდგა, საიდანაც თამაშების მასპინძელი ქალაქის ხედი იშლება.

თუმცა ოლიმპიადის ჩატარება ისევ საფრთხის ქვეშაა. საქმე ის არის, რომ იაპონიაში გაუარესებული ეპიდვითარების გამო ოლიმპიური თამაშების გამართვის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

იაპონიის მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა ტოშიჰირო ნიკაიმ და პრემიერ-მინისტრმა იოშიჰიდე სუგამ დღის წესრიგში ეს საკითხი უკვე დააყენეს. იმ შემთხვევაში, თუ ინფიცირებულთა რაოდენობა ქვეყანაში კიდევ გაიზრდება, არ გამორიცხავენ, ოლიმპიადა გააუქმონ.

იაპონიაში ახლახან კორონავირუსის წინააღმდეგ რეგულაციები და შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის შედეგად 70%-ზე მეტი ტოკიოში ოლიმპიადის გამართვის წინააღმდეგია.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ჯერ კიდევ შარშან უნდა გამართულიყო, მაგრამ 1 წლით გადაიდო და პლანეტის ყველაზე დიდი სპორტული ღონისძიება 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე უნდა ჩატარდეს.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. შვეიცარიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ჩინური ფინიკი; 3. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 5. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 9. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 10. ქუთაისის აეროპორტი; 11. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 14. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 16. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. სკანდინავიური ლეგენდა-თქმულება.

თარაზულად: 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 4. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ცნობილი არგენტინელი ავტომრბოლელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი; 8. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 13. დაზვერვის თანამშრომელი; 15. თაფლიანი ფიჭა; 17. ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 19. ტკივილიანი მწვავე შეტევა გულის არეში; 20. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. მფრინავი ცხოველი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაზა; 2. ობი; 3. პანიტერია; 4. შრატი; 5. სიმონია; 8. რაჯა; 9. მატიანე; 10. ესტაფეტა; 12. ღვაწლი; 13. ოჰარა; 15. სეული.

თარაზულად: 1. ფიდელიო; 6. ჟანდარმი; 7. ზურნა; 10. ეთიკა; 11. იჯარა; 13. ონიმა; 14. ტოსკა; 16. წულა; 17. არაბული; 18. აფრიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბატერფლაი; 2. დიუპონი; 3. ვერიკო; 4. მანგო; 5. ელარჯი; 11. გვრინი; 12. აგუერო; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყაპუჭი; 19. ტროტილი; 21. სკოტი; 22. ფეტვი.

თარაზულად: 6. მაკარიძე; 7. სტაპელი; 8. გაყრა; 9. ორფოლო; 10. კონგო; 13. ბარჯი; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყაჭი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ჭყურტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4432

ევრო — 4.1177

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7375

100 რუსული რუბლი — 4.5431

ამინდის პროგნოზი 16 აპრილისათვის

ჯეიმს მილნერი: „გამარჯვებას ვიმსახურებდით“

ლივერპულის ნახევარმცველმა ჯეიმს მილნერმა რეალთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა შეხვედრაში გამარჯვება დაიმსახურა, მაგრამ შანსები ვერ გამოიყენეს:

– სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ და ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია. მეტოქე ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ და უნდა მოგვეგო, თუმცა ეს უკვე წარსულია. ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვართ და მომავალ შეხვედრებში შეგვიძლია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ.

ნეიმარი პსჟ-ში რჩება

პსჟ-ს ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა განაცხადა, რომ პსჟ-ში დარჩება და სულ მალე გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ჯერჯერობით უცნობია კონტრაქტის დეტალები, თუმცა, დიდი ალბათობით, ნეიმარი ისევ გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება.

ნეიმარის თქმით, პსჟ-ში ბედნიერია და გუნდთან ერთად მომავალში ბევრი ტიტულის მოგებას აპირებს.

მატეო კოვაჩიჩმა ტრავმა მიიღო

ლონდონის ჩელსის სერბმა ნახევარმცველმა მატეო კოვაჩიჩმა ტრავმა მიიღო და თავის გუნდს რამდენიმე კვირა ვერ დაეხმარება.

კოვაჩიჩს ტრავმა ადრეც აწუხებდა და მისთვის ეს სიახლე არ არის, თუმცა მისი ტრავმები სერიოზული არასოდეს ყოფილა.

ამჯერად კოვაჩიჩი სარეაბილიტაციო კურსს გადის და ტომას ტუხელს წლევანდელ სეზონში კოვაჩიჩის იმედი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჭურჭლის სარეცხი საშუალების საყიდლად წასულმა მამაკაცმა მილიონი მოიგო

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ფიუკვეივარინას მცხოვრებმა მაღაზიაში ჭურჭლის სარეცხი საშუალების საყიდლად შეიარა და ლატარიაში ჯეკპოტი, მილიონი დოლარის მოგება მოხსნა.

ბრაიან ჯასპერი ავტოსახელოსნოებისთვის სტენდების დამზადებითაა დაკავებული. ვირჯინიის შტატის ქალაქ ფრედერიკსბერგში ჩასულმა მაღაზიაში სამსახურისთვის საჭირო ჭურჭლის სარეცხი საშუალების შესაძენად შეიარა.

მაღაზიაში ჯასპერმა გადაწყვიტა, რომ მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეეძინა. როდესაც ის თავის ავტომობილში დაბრუნდა და ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა, აღმოაჩინა, რომ მილიონი დოლარის მფლობელი გახდა.

– ნულები დავინახე და კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ასეთი რამ ადრე არასოდეს მენახა, – აღიარა ამერიკელმა.

ის მოგებული თანხის საკუთარ ბიზნესში დაბანდებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 აპრილისათვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. ** კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სახლში დაბრუნებული ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, შენ დღეს ჩემით კმაყოფილი დარჩები...

– რა მოხდა?

– რა და დღეს მანქანით სამჯერ გავიარე წითელ შუქნიშანზე და ერთხელაც კი არავის დავუჯარიმებივარ...

– და მერე?

– დაზოგილი ფულით ახალი ფეხსაცმელი ვიყიდე...

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– გოგი, რატომ არ გინდა, რომ მთელი ღამე შენთან გავატარო? არ მოგწონვარ?

– ძალიან მომწონხარ, მაგრამ შენთან ერთი საათი ჩემი ერთი თვის ხელფასის ნახევარს უდრის!

●●●

მეზობელი ქალი მეზობელ მამაკაცს ეკითხება:

– ცოლი რატომ არ მოგყავს?

– მეშინია.

– რისი?

– დიდი ხნის წინ ქუჩაში მიმავალს ქალი მომიახლოვდა, გამომლანძღა, მომაწყევლა, სახე ჩამომკაწრა, შემდეგ კი მითხრა: „მაპატიეთ, ჩემი ქმარი მეგონეთ!“

●●●

სატელეფონო ზარი. მამაკაცი კითხულობს:

– ალო, გამარჯობა, რადიოა?

– დიახ, რით შეგვიძლია, დაგეხმაროთ?

– თუ შეიძლება, გაუშვით სიმღერა: „ქუჩა-ქუჩა დავდივარ...“ გუშინ ჩემს ცოლს მანქანის მართვის მოწმობა ჩამოართვეს!

●●●

ცოლ-ქმარი კამათობს. გაბრაზებული ცოლი ქმარს უყვირის:

– საქონელო, საკუთარი თეფში მაინც გარეცხე!

– არ შემიძლია!

– ვითომ რატომ?!

– ჩლიქები მიშლის ხელს!

რობერტ სტურუა: „დამშვიდდით, თეატრიდან არ მივდივარ!“



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა აცხადებს, რომ თეატრიდან წასვლას არ აპირებს:

– დამშვიდდით, თეატრიდან არ მივდივარ! გამაგდეთ და წავალ! მხოლოდ მაშინ! მიყვარხართ, ქართველებო!

რუსთაველის თეატრმა სპექტაკლი „იულიუს კეისარი“ მოხსნა

17 აპრილს რუსთაველის ეროვნულ თეატრში დანიშნული სპექტაკლი „იულიუს კეისარი“ მოიხსნა. სპექტაკლში ნინუცა მაყაშვილის მიერ ძალადობაში დადანაშაულებული მსახიობი ბესო ზანგური მონაწილეობს.

– რუსთაველის ეროვნული თეატრი გმობს ძალადობას და, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას – ხსნის 17 აპრილს დანიშნულ სპექტაკლს „იულიუს კეისარი“, – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

ნიკა ქავთარაძე ქართველ ტელეწამყვანებს რჩევას აძლევს

იუმორისტი ნიკა ქავთარაძე ქართველ ტელეწამყვანებს რჩევას აძლევს და სთხოვს, აღარ მიიწვიონ სტუმრად მრავალცოლიანი მამაკაცები:

– ეგებ ქართველი ტელეწამყვანები მიხვდნენ, რომ სტუმრად მრავალცოლიანი, „მექალთანე“ გულთამპყრობელები აღარ მიიწვიონ შოუებში და აღარ მისცენ მათ შანსი, გაგვიზიარონ „ქალების „დაკერვის“ ხერხები.

ასეთი კაცების თითქმის 100% არის გულის ამრევი, ნაგავი, ტუტუცი და მოძალადე.

გულის ამრევია ის წამყვანიც, რომელიც მათ მასპინძლობს სიცილ-კისკისითა და წამწამების ფახულით.

მთელი ცხოვრება მსხვერპლის მხარეს ვარ და არა მოძალადის, რადგან ყველა მოძალადე არის ბოროტება, რუსეთი იქნება თუ ქმარი!

კახი კავსაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა



85 წლის მსახიობ კახი კავსაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. ხელოვანი რამდენიმე კვირაა, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

როგორც პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში აცხადებენ, მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

– ილოცეთ კახი კავსაძისთვის, რომ ღმერთმა გამოაჯანმრთელოს! – სთხოვენ საზოგადოებას მსახიობის გულშემატკივრები.

დავით ფოცხიშვილმა მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული ფილმების გადაღება დაიწყო

ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული ფილმების გადაღება დაიწყო და სულ მალე საზოგადოებას საპრემიერო ჩვენებას შესთავაზებს:

– 25 წელიწადზე მეტია, რაც ჩემთვის წყნარად და აუღელვებლად ვწერ პატარ-პატარა სცენარებს და აი, ერთ-ერთი ჩემი პირველი სცენარი, რომელიც მალე მსოფლიოს პრესტიჟულ კინოფესტივალებზე გაცოცხლდება, სწორედ „მისტერია“ გახლავთ, მისტერია ანუ საიდუმლო ამბავი... წინასწარ არ მოვყვები იმას, თუ რა თემატიკაა ფილმში, აჯობებს, მაყურებელმა თავად გამოიტანოს საკუთარი აზრი, როდესაც იხილავს.

მინდა, საქართველოში საფუძველი ჩავუყარო მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული ფილმების კულტურას. ვფიქრობ, ასეთი პროექტი ჯერ არ გაკეთებულა და ძალიან გულისყურით ვეკიდები. იმედი მაქვს, უამრავ ფილმს გადავიღებ და ეს არ იქნება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში ჩასმული. ზოგადად ხელოვნება და მასში შემავალი „ქორეოგრაფია“ არ არის მხოლოდ ერთი პლანეტა. ის მოიცავს სრულიად სამყაროს და ამ უკიდეგანო სამყაროში როგორ უნდა იცხოვრო ხაზებსა და ჩარჩოებში, ეს ჩემთვის წარმოუდგენელია.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სოფლის შარაგზა; 5. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 10. ზღვის დიდი ათფეხა ჯავშნიანი კიბორჩხალა; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 20. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

თარაზულად: 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 8. ცხოვრებისეული მოვლენების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა, მატიანე; 9. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 13. აეროპორტი თელ-ავივში; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრუდენციაში სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, სარგებლობა მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 21. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 22. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა მეტსახელი ძველად ევროპაში; 24. კამათის, პაექრობის ხელოვნება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა